


F412
1955



ქრონოლოგიური
ენციკლოპედია

დროშა

№ 12 დეკემბერი 1955




თბილისის 26 კომისიის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. ახალი საქსოვი დაზვის — ჩგპ-54-ის აწყობა.

უჩვეულო შრომითი და პოლიტიკური აღმაფლობით სცდებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.


რესპუბლიკის საწარმოებში შრომით განტყვევებულნი მოწინავე მუშები და პირნათლად ანაღებენ საზჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებებს.


კოტონის წინდების ახალი ფაბრიკა თბილისში. ფაბრიკის მთავარი ინჟინერი შ. სიმონიშვილი ამოწმებს მქსოველ ლ. ზიმინას ნამუშევარს.




თბილისი. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გასაგზავნი მილდასამუშავებელი ჩარხის აწყობა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.





F1789



იოსებ გენაროვის ძე სტალინი

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა ღრმა ისტორიული ფესვების და მყარი ტრადიციების მქონეა. ეს მეგობრობა აშკარად გამოვლინდა 1905-07 წ.წ. რევოლუციის მანძილზეც.

საქართველოს და ამიერკავკასიის რევოლუციური-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დღემდე თავის ჩასახვისა, რუსეთის მთლიანი რევოლუციური ფრონტის ორგანიზაციის ნაწილი იყო. ამ მოძრაობას, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო გენიალური ლენინის ერთგული მოწაფე დიდი სტალინი, ასხივოსნებს სტალინის ბრძნული და კეთილშობილური სიტყვები დაწერილი 1901 წლის სექტემბერში: „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელისუფლებას მთელი რუსეთის მოძრაობასთან და მასთანადე ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიას... ქართული გავითი უნდა იყოს მუშათა, შემადგენელი ქართველი და რუსი მებრძოლი მუშებისა...“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 6-7).

იმ საშინელმა ბოროტებამ, რაც 1905 წლის იანვარში ჩაიდინა პირისხლიანმა ცარიზმმა, როდესაც უდანაშაულო რუსი მუშების სისხლის ზღვა დააყენა, საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვნილებით შეხვდნენ. ამ პროტესტმა თავისი გამოსატყულებელი პოლიტიკური საფუძვლიანი მოძრაობაში, რომელიც მთელი საქართველოს მოედო (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, კუთათრა, ტყეშელა, ყვირილა (ახლა ზესტაფონი), შორაპანი და სხვა). ამ ერთ-სულიან გამოსატყულებელი საქართველოს მშრომელები გვერდში ამოუდგნენ რუსეთის მუშებს.

დიდი ენერგიით იბრძოდნენ 1905 წელს ბოლშევიკების მეთაურობით გურული გლეხები. როგორც მაშინდელი გავრცელებული აღნიშნავენ ისინი ფიქსიონურ განაგებდნენ თავის საქმეს. მოახდინეს მემამულეთა მიწების კონფისკაცია, ქონდათ თავისი სასამართლო და დაცვის ორგანოები, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს მთავრობის დაწესებულებებთან, რომლებიც მოიშალნენ და შეწყვიტეს მოქმედება გურიაში. უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ გურულებს კარგად ესმოდათ თუ რა რაღაც დაკავშირებული იყო მათი ბრძოლის საბოლოო შედეგი რუსეთის რევოლუციის გამარჯვებასთან.

ქართველი ხალხის ურყევი რწმენა, რომ მისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლება მჭიდროდა და უცილობელი დაკავშირებულია რუსი ხალხის რევოლუციურ ბრძოლასთან და გამარჯვებასთან, შესანიშნავად გამოვლინდა ერთ საინტერესო ეპიზოდში. იმისათვის, რომ როგორმე შეენელებინა აზვორთული რევოლუციური ტალღა გურიაში, კავკასიის მთავრობამ ვითომც-და მოძრაობის მიზნების გამოსარკვევად იქ გაგზავნა ლიბერალური ლაქობის გამოცდილი ოსტატი სულთან კრიმ გირეი. მაგრამ გურული გლეხობა მომხდომულად დახვდა მთავრობის ფილი აგენტს და გლეხობის მოტყუების ცდა სამარცხვინოდ ჩაიფუშა. გურულებმა გამოავლინეს პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი შეგნება და ორგანიზებულობა.

გურიის გლეხობის მოთხოვნებში წითელი ზოლივით გატარებული იყო ერთი მთავარი აზრი — ჩვენი, გურულების, მოთხოვნები კერძო არ არის, ჩვენ მოვითხოვთ იმას, რასაც მოითხოვენ ჩვენი ძმები — რუსი მუშები და გლეხები.

აი რა უთხრეს კრიმ გირეის გურულმა გლეხებმა:

1. სოფ. შემოქმედი (22 თებერვალი).

„ეს მოძრაობა ჩვენში არ არის მარტო, ასეა მთელი რუსეთი. და აქი მთელი რუსეთის შევიწროებული საზოგადოება ხმამაღლა დადგება: „მოიწვიეთ საერთო საარჩევნო კრება“ და გვიხსენით „ჩინოვნიკების“ ხელიდან“.

2. სოფ. ხიდისთავში (27 თებერვალი).

„ჩვენი მოთხოვნანი არაა შემთხვევითი და კერძო ხასიათისა. ისაა საზოგადო მოთხოვნანი მთელი რუსეთის მუშა ხალხისა. ჩვენ... ვმოქმედობთ რუსეთის მუშა-ხალხის თანხმობით. რუსეთის მუშა-ხალხი ჩვენი ძმებია. ჩვენ გვინდა მხოლოდ რუსეთის მუშა-ხალხთან... ჩვენი მოქმედება და მოთხოვნანი სრული შეთანხმებულია რუსეთის ხალხის მოქმედებასა და მოთხოვნასთან“.

3. ჩხობატურში (28 თებერვალი).

„ჩვენ ვითხოვთ იმასვე რასაც თხოულობს რუსეთის შეგნებული მუშა“.

4. სურბი (3 მარტი).

„ჩვენი მოძრაობა საერთო მუშათა მოძრაობაა. ყოველი მუშა მიუხედავად ეროვნებისა ჩვენი ძმაა. ჩვენ რუსეთის ყველა შეგნებულ მუშებთან ერთად გვინდა ძირიანად შეიცვალოს რუსეთის კანონები“.

5. ნიგოთი (7 მარტი).

„ჩვენ გვსურს ჩვენი მოთხოვნანი განვახორციელოთ რუსეთის ხალხთან ერთად“.

6. ლანჩხუთი (8 მარტი).

„ჩვენი მოთხოვნები არ არის კერძოდ გურული და კავკასიური. ამას მოითხოვს მთელი რუსეთის მუშა ხალხი და გლეხობა, რომელიც ჩვენსავით გაქირავებულია და შევიწროებულია დღევანდელი მთავრობისაგან“.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სოფ. ბახვის გლეხობის მოთხოვნები (აი ამიტომ მათ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ ლენინურმა გაზეთმა „ვერდი“—მა დიდი ყურადღება მიაქცია 1905 წლის 29 მარტის ნომერში და უწოდა „მანფესტაცი“):

„ჩვენ, ქართველები, რუსები, სომხები, თათრები — ყველანი ძმები ვართ, ჩვენ ერთმანეთს არ წავეკიდებთ. ტყუილად ნუ ცდილობს ამას მთავრობა... ჩვენი მოთხოვნები კერძო, მარტო ქართული მოთხოვნები როდია. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვურთდებით ჩვენ რუს მოქმედებს“.

რა საპოლიტიკური მნიშვნელობა შექმნა გურული გლეხების დელარაციას რუს ხალხთან კავშირის და სოლიდარობის შესახებ?

ჯერ ერთი, ეს იყო საქვეყნოდ აღიარება ქართველი ხალხის ქვეშაობრივი სიყვარულისა რუსი ხალხის მიმართ (ეს სიტყვები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და გლეხურ და უცხოეთშიც), რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა ამ ორი მოძმე ხალხის ისტორიულ მეგობრობას. მეორე მხრივ, შეგნებული ქართველი გლეხები ადვილად აქარწყლებდნენ რუს დიდმპყრობელურ შოვინისტების რეაქციულ ბოდავს, რომ ქართველებს, კერძოდ გურულებს, სურთ რუსეთისაგან ჩამოშორება და... თავისი მეფის წამოყენება.

ქართველი ხალხის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა — გურულმა გლეხობამ — საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის პატივისცემა დაიმსახურა. როდესაც იგი განსაცდელში ჩავარდა, 1905 წ. ოქტომბერში ნასაკი-რალის ბრძოლის შემდეგ, როცა მეფის მთავრობა კვლავ აპირებდა გურულების წინააღმდეგ დამსჯელი რაზმის გაგზავნას ჯალათ ალხანაოვის ხელმძღვანე-

ლობით, გურიის დასაცავად მთელი კავკასია და რუსეთიც ფეხზე დადგა.

1905 წ. სექტემბერში პარტიის III ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია რუსეთის ს.დ. ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციამ სხვათა შორის, გამოიტანა სპეციალური დადგენილება „კავკასიის ამბების გამო“, კონფერენციამ აღნიშნა, რომ ერთი ეროვნების მეორე ეროვნებაზე წახისინების პოლიტიკა უკანასკნელ წლებში მთავრობის ხელში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობასთან ბრძოლის მთავარი იარაღი გახდა, რაც მაგალითად, კავკასიაში სომეხ-თათართა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტით გამოიხატებოდა. კონფერენციამ გამოთქვა თავისი აღფრთოვანება „ვითმპყრობელობის ბრძოლისთვის მოქმედების გამო“; ამავე დროს მან რწმენა გამოთქვა, რომ „მხოლოდ ყველა ეროვნების პროლეტარიატის სოლიდარულ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროში“ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ცარიზმის ამ მზაკვრულ პოლიტიკას. კონფერენციამ თავისი „ღრმა თანაგრძობა“ გამოუხატა კავკასიის მთელ პროლეტარიატს და გამოთქვა რწმენა, რომ ისინი „მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მომავალშიც განაგრძობენ რევოლუციურ ბრძოლას მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად და მასთან ერთად მიიყვანენ ამ ბრძოლას ცარიზმზე საბოლოო გამარჯვებამდე“.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, რომლის მთავარ დამრტყმელ ძალას რუსი ხალხი, რუსი პროლეტარიატი წარმოადგენდა, მჭიდრო რევოლუციურ-გაერთიანებულ ფრონტს წარმოადგენდა, მას სათავეში ყავდა ერთიანი ბოლშევიკური პარტია. სავსებით კანონზომიერია ის, რომ რუსეთის მძლავრმა ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ (მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუშათა კლასმა) წამოაჩივა ცარიზმი, და დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს გლეხთა მასების რევოლუციური მოძრაობის შეგნებულ ზრდაზე. ამ ბრძოლამ შეტად ფართო და მწვავე ხასიათი მიიღო. მთელ რიგ რაიონებში ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები პოლიციასთან, კავაქებთან, ჯარის ნაწილებთან, გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის ნომერის გაფიცვამ გამოძახილი პოეზია საქართველოშიც.

უფრო მეტი თქმის რუსეთის (მოსკოვისა და სხვა მუშათა ცენტრების) 1905 წ. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ამ აჯანყებებმა დიდი ბიძგი მისცეს საქართველოს რევოლუციურ მუშებსა და დემოკრატიულ გლეხობას, რათა რუსეთის მუშების მხარდასარ და მათი მეთაურობით გაეჩაღებინათ კარგადმწყვეტი შეიარაღებული ბრძოლა მეფის მთავრობის დასამარცხად.

ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ინტერესები და მომავალი დამოკიდებული იყო რუსეთის რევოლუციის გამარჯვებაზე, ამ რევოლუციას კი სათავეში უდგნენ რუსი მუშები — ხოლო საქართველოს მშრომელებს ამ ბრძოლის ფრონტზე მნიშვნელოვანი პოზიციები ეჭირათ და ღირსეული წვლილიც შექმნათ მის წარმატებებში. რუსი და ქართველი ხალხის სოლიდარობის გამოხატულების ერთი მშვენიერი ფორმა, აგრეთვე, იყო რუსი ჯარისკაცების მდღევარება საქართველოში მდგომ გარნიზონებში, მჭიდრო კავშირი საქართველოს მშრომელებსა და რუს რევოლუციურ ჯარისკაცთა შორის.

1905-1907 წლ. რუსი და ქართველი ხალხების რევოლუციური ბრძოლის ერთიანობას ხაზს უსვამენ დაკვირვებული თანამედროვენი. მაგალითად ვ. ა. სტაროსენსკი, რომელიც საქართველოში 15 წელს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, თავის წიგნში „გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიისაში“ (გამოცემულია 1928 წ.) ამბობს, რომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი მხურავებში ითვისებდნენ „ყველაფერს, რაც ეხებოდა განმათავისუფლებელ ბრძოლას მთელ რუსეთში“, რომ ამ მხრივ „სოფლები ქალაქებს არ ჩამორჩებოდნენ. მოსახლე ქალაქებისა, დაბებისა და სოფლებისა ცხოვრობდნენ საერთო ცხოვრებით, აზროვნებდნენ, გრძნობდნენ ერთნაირად და მათი პოლიტიკური მაჯისცემმა საერთო რუსეთის მაჯისცემას მისდევდა“. ავტორი მიგვითითებს, რომ ქუთაისის გუბერნიის ყველა სახალხო ყრილობათა დადგენილებებისათვის დამახასიათებელია გაბედულება და რუსეთის, რუსი ხალხის მიმართ სოლიდარობა. სტაროსენსკის მოყვას ასეთი მაგალითი: 1905 წ. 26 ნოემბერს დაბა ხონის მცხოვრებთა და ახლომდებარე სოფლების გლეხების დიდმა მიტინგმა მიიღო დადგენილება: გამოუცხადოს საყვედური რუსეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ვიტტს, მოეთხოვოს პოლიციაში საომარი წესების მოხსნა, გაეგზავნოს სალამი შმიდტს, მის მეზღვურთ და რევოლუციურ ჯარისკაცებს წემით აღნიშნული დამბარი წესების მოხსნის შესახებ მოთხოვნების ასრულებამდე მეფის მთავრობას არ მისცეს ჯარში გასაყვანი ახალგაზრდობა, ვადასახადები და ხარჯი.


1905-07 წლების ბოლშევიკური პრესა, ლენინური გავრცელებული „პროლეტარი“ და „ნოვია ჟიზნი“ დიდ ყურადღებას აქცევდნენ კავკასიისა და საქართველოს ამბებს, ათავსებდნენ მრავალ წერილსა და კორესპონდენციას. აი, მაგალითად, როგორი გულთბილობით არის აღწერილი ვაშ. პროლეტარის“ მეხუთე ნომერში (1905 წ. ივნისი) რევოლუციური გლეხების მორიგი სახელოვანი გამარჯვება — დასავლეთ საქართველოში პროლეტარული დღესასწაულის —1 მაისობის—სოფლად პირველად ჩატარება, რომელსაც ხელმძღვანელობდა სტალინის მიერ შექმნილი, რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი: „არჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა სოფლები ამ ორ დღეს... ყველა გზატკეცილებსა და შარავნებზე იძვროდა სადღესასწაულოდ გამოწყობილ გლეხთა, ქალებისა და ბავშვების დაუსრულებელი ნაკადი, განუწყვეტელი იხილდა „მარსელიოზის“ სიმღერა, რომელიც არემარეს ეფინებოდა, ყველა შთაგონებული ერთი გრძნობით, გასხივსებული ერთი იდეით, მომდომარე სახით და ღრმა სიხარულით გულში მიერსურებოდა დანიშნულად აღვილისაკენ, რათა მოესმინა „მქადაგებელნი“, როგორც უწოდებდნენ სოფელში ავტორიტეტს, წელში მოხრილი მოხუცი, რომელნიც თავისი სისუსტის გამო იწამდნენ ენოსაც ვერ გაუზიარებდნენ, ავადმყოფნი, რომელნიც ძლივსა და იდგნენ ფეხზე, ბრმა-უსინათლონი, რომელნიც ჩაბლაქუტებდნენ თვალხილულთ, ყვარაგნებანი მთხოვრები, ერთი სიტყვით დიდი და პატარა, ყველა, ტალიდი გატაცებული, მიეშურებოდა იქ, მიტიხვზე (ასეთი მიტიხვები, ძალთა ნაკლებობის გამო, მიეწყო 8 ადგილას, მათ დაესწრო 82 ათასი მშენეელი. ვ. ი.). ამ ნათელმა დღესასწაულმა ღრმა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ხალხის გულში“.

რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობა 1905 წლის რევოლუციის ერთობლივ განმათავისუფლებელ ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა.

ამს. ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ბრუშჩოვის ყოფნა ინდოეთსა, ბირმასა და ავღანეთში გადაიქცა საბჭოთა და ამ ქვეყნების ხალხთა მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად. ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ და ესალმებოდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას.

ს უ რ ა თ ე : ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ბრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ათვალთვრებენ ბჰაქრას (ინდოეთი) კაშხლის მშენებლობას.

ფოტო ვ. გეგორივისა (საკდესის ფოტოკორიკა)



„ქეპიჯან“, სიჭაბუკე“

I. სოსო ჯალაპილის

პირველად ჩამოსვლას თბილისში 1899 წ. აგვისტოში

ნორჩ გულს რა რჩება სადარდებელი, ვერ გამოიცნობს თილისმის სარკვე-უკვე შეიარბა მატარებელი: თბილისისაკენ, თბილისისაკენ!

დაცარიელდა გორის სადგური, ატმური შუქით გამანათებელი, ზენეშით, კვილით და თქარათქურით, სივრცეს მთარღვევს მატარებელი!

აჰა, ვაგონის სარკმლის მიწაში, უკვე აცურდნენ ქართლის სოფლებსა, გამორჩნდა სივრცე სხივთა ბრწყინვანში და შორი მთები აუშფოთლები.

ჩანდა ქოხები გადაშორული... სადღაც ისმოდა კალოსპირული...

პირველად შედგა დიდ გზაზე ფეხი — გასწი, თამამად, კარგო ჭაბუკო! არ შედრეკ, თუგინდ მოგიტყდეს მეხი, თუ გინდ ცხოვრებამ დაგიქარბუქოს! და გინდაც იყოს ცრემლით ნაშენი, აი, გზა შენი... აი, გზა შენი...

გზაზე ვერხვები... ღობის ასკილი... ხნული... ვენახი... სართვლო ურემი, რა საამოა ქართლში, რა ტკბილი მარაიმობის მიწურულეები...

ხვალ გაიხარებს გლეხი მარჯვენით, ჩაშლილ კალაოზე დილა კრიალებს... ხვალ მარნებში წითლურ მარჯნებით სამაქრე ღარი დაიწვრიალებს.

ხვალ სოსო ახალ მერხზე დაჯდება, მას ელოდება სემინარია... ხვალ თბილისელი იგი გახდება... ოი, რა ტკბილი სასმენარია...

მოსჭიკიკიკებენ ქალის ჩიტები, მოუმღერიან მტკვარი, ლიახვი, შენ იცი, როგორც გასაჩინდები! აკი გაგზარდეთ თვალგამქრიახი!

ხმა მოსძახოდა გორის ციხისა: —ვიცი, არ მაქმევე არსად სირცხვილსა! კლდეზე დავდული მტკიცე ლოდებით, ისევ ისე ვარ, არ ვბოლოვდები! განხორციელდა შენი ოცნება, გასწი, იარე, დამილოცინხარ! —არ დაგვიწყებ, ჩემო ქალაქო, გინდ ქვეყნის კიდურს დავიბანაკო! მე მინდა შენი მაღლი მივიწყო... არ დაგვიწყებ... არ დამივიწყო... სამშობლოს მთებს და მინდვრებს სჯეროდათ, რომ ეს ყრმა არი მათი მაშენი... და ლიანდაგი შორ გზით მღეროდა: აი, გზა შენი! აი, გზა შენი!

რა ბქონდა სოსოს მადარდებელი, ვერ გამოიცნობს თილისმას სარკვე-გზას მიაპობდა მატარებელი: თბილისისაკენ, თბილისისაკენ!

აჰა, თბილისი — აღტქმის ქალაქი (სოსოს ოცნება განადგებული) უღრიალებს იგი, როგორც სამქედლო, საკუთარ შუქით განათებული!

აქ, მთაწმინდაში, მუდმივ ნიაფში, ბელტით ნაშენი, უქვოდ, ურიყოფ, ვით მერცხლის ბოლო, მთის იღლიაში პატარა ქოხი გაჩხირულიყო.

ქოხი ელოდა სოსელოს ჩანთას, ქოხი სუნთქავდა თავისუფლებით... ძირს კი, ვეება ქალაქი ჩანდა, დაჩუმებული მუშათ უბნებით...

2. კობა თბილისი

—შეხედეთ, რა რიგ ახალგაზრდაა, უკვე შუბლს უმკობს ეკლის გვირგვინი! ნუთუ ვარდები აღარსადაა, მაშ, რაღად გააქვთ ბაღებს ბიბინი?

ქვა ფეხს უსერავს და გზა დამწველი თითქოს ყვავილი არსად ეთესოს, აი, მწრომელი ხალხის დამცველი, და მისი შვილი საუკეთესო!

იმ შორეულს, იმ გარდასულის, ჩემო თბილისო, რამე მითხარი! რომ წავიკითხო, — მომე დასტური, ცეცხლის თვალეზით წააკითხარი!

აქ, ამ ღრუბლების ქვეშ უცხოვრია, აქ, დაუქიმავე ბრძოლის აფრები, აი, მტკვარი, განა უცხოვრია, მოსჩქევს ვით ცაზე ირმის ნაფრენი.

ისევ დაპქროლე, კოჯრის ნიაფო, სახიხარული ამბავი გვითხარ! შენ დამიმოწმე, რომ აქ ისწავლა პირველი ბრძოლა, საბრძოლო სიტყვა!

ისევ აქ ცხოვრობს, დადის, არ შიშობს, გინდ გადუღობონ გზა დიდ ქარებმა მხარზე ხელს დაგვარავს, რასა იქ, ბიკო? და მხრების ქნევით გაეჩქარება.

რა მრავალ საქმის არის ამწვევი: ან სტამბა ელის, ან წრე ფარული; ან მოწოდება აქვს დასაწერი, სააჯანყებო, ნიაღვრული!

თავდადებული, გახელებული იბრძვის, არ იყო ქვეყნად ღარიბი, და სიყვარულით აღელვებული, ლენინს ასხენებს გულმღელურებით.

და თვით ლენინი ერთიც რომ დარჩეს, როდი დასტოვებს, მას თან გაჰყვება! მასწავლებლებში ის ლენინს არჩევს, ის ერთადერთი ეამაყება!

ადრეებული ახლად უღვაში და თვითონ კობა შედრებული... ბუჩქივით თმები... ხან უმორჩილო, ჯალჯავით შუბლზე შეეყნებულა.

მისი თვალეზი გამომცინარი მოწმენილ შეცას მიემგვანება, სულის ღმობილი ნაზად მბრწყინავი, პირდაპირ გულში მიექანება.

გაბედულია, დაუთმობელი, შეუპოვარი, პირუშართლელი, მან ძმობა იცის და მათობელი და როგორც ბავშვმა იცის აღერსი.

სიხალისე აქვს თავდაქრელი, გაფოლადებულ რწმენას ატარებს, ვით სხივი, ღრუბელს გადარჩენილი, გულიდან სითბოს შემოგაპარებს!

ფარულ ცხოვრების დიდი სიმძიმე, მას მხარით მიაქვს ვით ცხელი რკინა, ამ დიდ ქალაქში, მშით რომ ზიმიშემს, გინდ მცირე კუთხეც, არა აქვს ბინად!

წინ უწევს ლომი უკან სდევს ვეფხვი, მოთმენა როგორ არ დელია? ყოველ ბილიქსა თუ შესახვევში, ჩაჰსაფრებია უნდარმერია.

მისდევს ჯაშუში, როგორც კრაზანა, ვით მოწანწალე შავი ღრუბელი... კობა ხომ ხალხმა ბრძოლად გაგზავნა, რას უზამს სისხლის გამოწურბელი?

თუ მუშისაგან არ გაიჩრევა, თვითონ მუშურად აცვია კობას. აქვს მუშასავით ქცევა და ჩვევა, და გასაგები სიტყვების წყობა.

არ უყვარს მრავალსიტყვაობანი, ბუნდოვანება, აზრი ნისლური, აზრი სხვისათვის შეუტყობელი... სწამს სიტყვა სადა, დარბანსლური.

მთის წყაროსავით წყნარია იგი თავისს საქმესა თუ საუბარში, ჩუბჩუბებს მისი სიტყვა სხვა რივი და ქარიშხალს სძრავს მუშათ უბანში.

თვითვე გრძნობს კარგად, სიტყვები მისი მუშათა გულში როგორ ჰყვიან; მათ პირზე ღიმი, — ეს შესატყვისი კობას აზრის და სიტყვის სხივია.

სამაქრობებში სიცხე, დგრიალი... ხვითქი ცხელ მკლავზე გადმოღვეთილო... მკერდ-უანგაინი და შუბლ-მჩგრიაინი

კობას გარშემო დგანან ღმერთივით... მოსულა ყველა დაბარბული, რათა მიიღონ მისი პასუხი.

მკერდზე ირმის ტყავ აფარებული უსმენს მქედელი ხელში მარწუხით. უსმენს მესტამბე და ასოებში ავიზვირდება ცეცხლი ფარული; უსმენს მეჩქმე გულსასოებით, შინამსახური გამოპარული.

უსმენს ხარატი და რკინიგული ჭონი, ღურგალი და ფეიქარი, ყველას შეჭკვრია უხილავ ქსელით ყველა იქ არი, ყველა იქ არი!

უსმენს ქართველი, სომეხი, რუსი, თათარი... მუშა, გლეხი, მდამიო, ყველას ეხსენება თვალზე ბურუსი, —რა ნათლად ვხედავთ და რა მკაფიოდ!

თვალი შეავლო კობამ უეცრად, ყველას ჩაჰხედა სულის ძირამდი: — ვინ გაგიძარცვათ თქვენ სიჭაბუკე, ბედნიერებას ვისა სწირავდით?

ვინ, ვინ დაგიწნათ ეკლის გვირგვინი, და რამ გაგზავდათ შავი ხედრისა? ცხოვრობთ სამოთხის დარ ქვეყანაში და ცხოვრება გაქვთ ჯოჯოხეთისა!

თითქოს ეხება ხელით ქრილობას, მთროლარი თითით უნდა მოძებნოს: — ურიცხველია თქვენი წყლულები, დაუთვლელია, დებო და ძმებო!

ო, სიღარიბე, საზიზღარია ქუქუქი... ძონძები... ქლექი... ციება... და თუ ცხოვრება საციხარია, უნდა დავღწყოთ აუცილებლად!

მალულად ვიბრძვით, სჯობს უმაღლავად, გინდაც გავილოთ მსხვერპლი ურიცხვი; ბრძოლა დაცემულ უფლებებისათვის და არა მხოლოდ ლუქმა პურისთვის!

უსმენენ კობას, ვით გასათობლად მგზავრები ცეცხლთან შემონაქური... ხვალ უფრო მაგრა დაარტყამს ურო, უფრო ღონივრად იტყვის ჩაქუჩი!

ხვალ გაიფიქრებს მადლართა დასი, უხვად ნაკვები სხვისი ოფლითა: — სიდან მოვიდა მუშათა კლასი, მიწის ფსკერიდან თუ ამოფრინდა?

— განა მებრძოლნი ბედს დასტორიან, განა ბრძოლისთვის არ ვინადებთ? ახალეზი გვაქვს კვლავ პასტილია, დავდვით ახალი ბარიალები!

კომუნარების სისხლი ვიღვლით, შურისძიებამ გული ახაროს! თავისუფლებამ შუქი ეხისხოს, დაე, დაინგრეს ძველი სამყარო! სადაც, კაცს კაცი ჰყავს მოწონაში, ხალ მშრომელს მტრად ჰყავს ყველა ძლიერი, —

მეფე, ბატონი, მღვდელი, ჯაშუში, ჩარჩი, ბანკირი, პოლიციელი! ბრძოლა და ზოლი!


ბრძოლა და ზიზღი! განა ბრძოლაში ვინა გვაჯვს ცალი? „ჩვენ ცოცხლები ვართ, დღულ ჩვენი სისხლი, დაუნარჯავი ცეცხლოვან ძალით!“

დე, ამოქანდეს მთელი ძალებით, რაც სარდაფებში გადამწირულა, სიცოცხლე იბრძვის სიცოცხლისათვის, იცხოვრე ბრძოლით, მოკვდი გმირულად!

ავდგეთ, შევერთდეთ, შესრულდა ვადა, ქარია ჩვენი დროშის მქარავი, პროლეტარიატს ბოროკლის გარდა, არაფერი აქვს დასაკარავი!

ცეცხლი თანდათან წრეს ედებოდა, სურვილი მტერთან მკერდით შეხლისა და ყველას გულში იწერებოდა „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა!“

ქობიკი იუნი



ნოვარეკალი

ბორის ჩხიძე

მოთხრობა

მატიკარი კ. მახარაძე

მისის დამღევს საციხელი მეჯოგეები მზად იყვნენ მთისაკენ წასასვლელად. ფერმის სადგომებიდან დილით გაყვანილი პირუტყვი მზის ჩასვლამდე ადვილად მიაღწევდა ბინამდე.

ტატე ძიძიშვილს, საციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საქონლის გადარევის კარგად დამთავრების იმედი ჰქონდა. საქონლი არ იყო გზადაგზა საკვების დამზადება. მთა ახლო იყო და გზის პირებზე ბალახი ბიზინგებდა, ტრექს გაფოთლილიყო. სადარდებელი სხვა რამ ჰქონდა ტატეს. შემოდგომაზე ფერმის გამგედ კოქლი პარმენა დააყენა.

პარმენა უფერგილო მუშაკი გამოდგა. ახალი გამგის უხერხობა მაშინვე დაეტყო ფერმას. პირუტყვი ჯანდაკად გავიდა გაზაფხულზე. მარტის მზის სხივებზე გამოშვებულ საქონელს თვლი არ ედგა და ბევრს სისუსტისაგან გული უღონდებოდა. ტატეს ვარაუდით ეს ასე არ უნდა მომხდარიყო. ფერმის ეზოში კოლმეურნეობის საქმეზე მეტი საკვები მოემარაგებინა. სარდაფში გამოუყენებლად ილოჯებოდა გემრიელი ძირნაყოფას ხეხვები, ბედელშიც ბევრი არა აკლდა რა სასუქ მარცვლეულს. მინდობილი საქმისადმი უგულობა უკვე ბევრს შეენიშნა საციხეში. ცუდად იხსენიებდნენ კოქლ პარმენას. ვინ იცის, რას არ ამბობდნენ. დიდებს ვინდა ჩიოდა — ბავშვებიც ალაპარაკდნენ, რომელთაც პირდაპირი თქმისათვის ვერც დასჯი, ვერც გაუჯავრდები. საგაზაფხულო არდადეგებზე დათხოვილი მოსწავლეების პიონერულ რაზმს გაეგვლო ფერმაში ბულა-მოწვრების სანახავად, რკინის რგოლებით რომ იყვნენ მიბმული ბაგებზე და აი რა ეთქვათ და დაერხიათ კიდევაც ხმა საციხეში: „იმ საცოდავებს რგოლებზე რად უყრიან ნესტოებში, უბრალო თოკებიც ეყოფოდათ, კისრები წეროვებით დაწვრილებიათ, გავებზე ზღმურდლის კაბები გაჩენიათ“. ტატეს ეს ამბავი ენად მისმა შვილებმა მიუტანეს და თვითონაც ამ აზრისა და შეხედულებისა იყვნენ ყმაწვილები მათ საყვარელ „გმირებზე“, ლამაზ ბუღებსა და მოწვრებზე. ამის გამგონე ტატემ სიმწრით ცალი უღვაშის ბოლო კინალამ მთლად მოიკვიტა.

პარმენას აზრით საციხელები აზვიადებდნენ. ფერმაში საქმე არც ისე ცუდად იყო, როგორც ბავშვებს ეჩვენებოდათ. პირუტყვი ფეხზე დადიოდა. ბულა-მოწვრებიც კარგად გაძნობდნენ თავს. მაშ რა არ იყო გაზვიადებული? გაზვიადებული არ იყო მემინდვრობის ბრიგადირის იოთამ გოგატაძის სიტყვა, რომელიც მემინდვრე ბრიგადირმა კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გამოთქვა ჯოგის მთაში გარეკის რამდენიმე დღით ადრე. ბრიგადირს პარტიული ორგანიზაციის დავალებით ფერმის მუშაობა შეემოწმებინა. გამოკვლევის შედეგი დაუფარავად და ცოტა არ იყოს დამცინავი კილოთი მოახსენა კოლმეურნეებს:

— სათვალავად, ოთხ ფეხზე საქონელი ბევრი დგას. ყველას კარგა მოზრდილი რტები აქვს, იმ ფეხებზე და რტებზე საქონელს ხორცი არ ასხია. რაღა დაგიფიქროთ, საქონელი მოუვლელია, ქვეყანაზე გამოსაჩენი თავი არა გვაქვს.

— შენ მინდორი გაბარია, იმაზე ავე პასუხი! — წამოსძახა იოთამს დაცინვით გამწარებულმა პარმენამ.

— ჩემი მოყვანილი საკვები რომ გამოუყენებელი ლბება ეზოში? გექმია საქონლისათვის და გულმოსასვლელი დღეს აღარაფერი გექნებოდა.

ამხილა ფერმის გამგე მემინდვრობის ბრიგადირმა. ამას ცხარე კამათი მოჰყვა. უფროსმა მწველავმა თებრო ფარესაშვილმა მარტო ფერმის მუშაობა როლი გააკრიტიკა, ბევრ სხვასაც მისწვდა. ბოლოს გამგერმა იოთამის სიტყვა: მართლაც ქვეყანაზე გამოსაჩენი თავი არა გვაქვს.

მემინდვრობის ბრიგადირის და ფერმაში ყველაზე გამოჩენილი მუშაკის თებროს გამოთქმულმა შენიშვნებმა საგონებელში ჩააგდო ტატე ძიძიშვილი. ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრილიყო. ამის პირველი და ერთადერთი საშუალება კი იყო ის, რომ ზამთარში, ბაგაზე კვების თვეებში დაკარგული წონა და იერი პირუტყვის მოკლე ხანში უნდა აღედგინა. ამიტომ დააჩქარა ტატემ კოქლ პარმენას ჯოგის წიფლის კარავის საძოვარე წაადრევად გარეკვა. მწვანეზე და ჰაერზე ჯოგი მალე მომჯობინდებოდა. ფერმის ეზოდან მთის გზაზე ჯოგის გაყვანას იოთამ გოგატაძეც დაესწრო.

— ნუთუ მთაში მაინც ვერ იმუშავებს კარგად? — შეეკითხა ბრიგადირს ტატემ და კოქლ პარმენას უკმაყოფილო, ცალი თვალის ჭუტუტით გახედა, თითქოს რაღაც იარაღს უმიზნებდა. ფერმის გამგე საჯინიბოსთან იდგა, ცხენს გარს უვლიდა, მოსართავებს უქერდა.

— საძოვარე საქონელს არ დასჭირდება მისი მიტანილი და ბაგაში ჩაყრილი საკვები.

ისე, სიტყვისათვის ჩაილაპარაკა იოთამმა. ტატე გაცვიცხლდა.

— ერთ ადგილზე რომ ატრიალოს საქონელი, განა იგივე არ არის, რაც ბაგაზე შიმშილი? — აქ მცირე ხნით თავი დახარა და კვლავ გამწარებით თქვა:

— ან საბალახოს არ გამოუტყვლის დროით პირუტყვს, ან სათიბებს შეუხეხვს. ვაი, ვაი მატყუარა კაცის გადაქვიდეს!

— აკი თებროც თან მიყვება ჯოგს. — შეახსენა იოთამმა.

— მაგით ვინდა მითხრა: სადაც თებროა, იქ არაფერი არ გაქირდება?!

— ჰო, დიას! — დაეთანხმა იოთამი.

— განა თებროს თავისი საქმე ცოტა აქვს? პარმენას გასაკეთებელი მან რად უნდა გააკეთოს?

— სწორი ხარ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა იოთამმა და ფერმის ეზოს გას-

ვილდა. ფართო შარაზე გავიდა. ჩქარი ნაბიჯით გასწია. ცდილობდა მალე მიფარებოდა სტეებს, კიდევ აღარაფერი მკითხოს ტატემო. არ უნდოდა ფერმის საქმეებში ჩარეულიყო კვლავ. რაც ჩაერია, ისიც ძალიან ენანებოდა, ეუხერხულეობდა. „ჯერ იყო გამომკვლევ კომისიაში ვიყავი, მერე თებროს სახელიც ვახსენე. განა არ შემემლო პირველისათვის თავი ამერიდებინა, თებროს ხენებისას კი ნეტა ენა მომტეხოდაო“.

იოთამის ამ სინანულს თავისი ისტორია ჰქონდა, რაც ტატე ძიძიშვილმაც კარგად იცოდა. ახლა შარაზე გაჩქარებით მიმავალი ბრიგადირი ფიცს აძლევდა თავის თავს: უკანასკნელია, არა თუ ვახსენებ აწ თებროს სახელს, იმ არემარეს სულ არ გავეკარები, სადაც თებრო გაივლისო. არც ახლა დავდგამდი ფეხს ფერმაში, მაგრამ იმას რაღა გაეწუბოდა, რომ პარტიულმა კრებამ ფერმის მუშაობის გამოკვლევ კომისიაში შემოიყვანა. ამ ფიქრში გაბმულს, ვიღაცამ ტანსაცმელზე წაავლო ხელი. იოთამი შედგა. მეზობლის ბავშვი ჩასქიდებოდა მისი პიჯაკის კალთას, უკან ეწეოდა, ძია ტატე გეძახისო. იოთამი მიტრიალდა. თავმჯდომარე უკვე ცარიელი ეზოში დაუხვდა იმავე ადგილას, სადაც დატოვა.

— რად მომამბრუნე? — უსაყველურა.

— კოქლი პარმენა უნდა ამოვავლო ფერმის არემარედან, მისი ადგილი...

— კომისიის მუშაობის დროს თითქმის ყველა წევრის სურვილი იყო კოქლი პარმენა ფერმიდან შორს მოგვეცილებინა, — სიცილით ჩაურთო იოთამმა, მერე გადაქრითაც თქვა: — ფერმაში სამუშაოდ მისი დატოვება ზარალია.

— რაკი შენც ამ აზრისა ხარ, მე ვხსნი პარმენას მისი თანამდებობიდან.

— ვხსნი! — გააჯავრა იოთამმა. — აკი გითხარი, ეგ აზრი ჩვენც დაგვებადა-თქო! პრაქტიკულ წინადადებაში კი არ მოვიხსენიეთ მისი მოხსნა. უბრალო მიზეზით — ვაითუ შემცველი ხელდახელ ვერ აღმოჩნდესო. შენ კი გეტყობა, — აქ იოთამმა ქვეშე-ქვეშ გახედა ტატეს, — მაგერი ამორჩეულიც გაუყვინ? ნუ დამიფიცავ, თუ ძმობა და ამხანაგობა გწამს!

— შენა, იოთამ, მეტი არავინს გამგეობაც ამ აზრისა.

უეტრად გაუშხილა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. იოთამს ეს შეთავაზება არაფრად მოეწონა, ძლივს მოახერხა ხმის ამოღება.

— მინდორს, ნათესებს თავი დავანებო? ამას ვერ ვივამ!

— აბა რას და ვის მიჩქევ? — ჩაფიქრდა ტატე.

— მოვიყვან-მეთქი მოსავალს, შევიხნავ, მერე თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

ურჩია იოთამმა, ერთადერთი აზრით, რომ თავმჯდომარის წინადადება თავიდან აეცილებინა. იქ კი, შემოდგომაზე საქმე ადვილად მოგვარდებოდა. მე-საქონლობის კურსებზე წასული ბიჭები დაბრუნდებოდნენ, იმათგან ამოირჩეოდა კოქლი პარმენას შემცველი მუშაკი. თავის მოჭრასავით არ უნდოდა ახლა მთაში წასვლა იოთამს. იქ თებრო იგულებოდა და მიტომ. ერთი ასე არ ყოფილიყო! მაშინ ფერმის გამგედ წასვლა კი არა, უფრო ნაკლები თანამდებობაც დააკმაყოფილებდა. წიფლის კარავზე ზაფხულის გატარება ენატრებოდა, ომიდან დაბრუნების შემდეგ, აგერ მეთექვსმეტი წელიწადი უსრულდებოდა, იქ ფეხი აღარ დაედგა. ზამთარ-ზაფხულს მინდორში ტრიალებდა.

— ჭირანხულს ბარში მე არაფერს გავუჭირებ. მთის მოსავალს კი რაღა ვუყო იქ, წიფლის კარავზე? — ცხარობდა ტატე. — არა ძმო, მეტი აღარ მახვეწო, მშვიდობის გზა მოგცეს ირგვინსაკენ... რაც შეეხება თებროს...

თავმჯდომარემ იოთამის სატიფარს ხელი დააპირა, — შე კაცო, რა მზე და მთვარე ამოვლის იმ ქალზე? ეგ, ეგ, თურმე რა ძნელი ყოფილა მკერდში დამწვარი გული გედოს... ისიც ხნირ კაცსა. ომგამოვლილი მაინც არ იყო, კაცო?

— მოვკვდე, თუ ჩემ თავს ვწუხდე! — დაიფიცა იოთამმა. — ჩემი ერთადერთი ვარამია, იქ ასვლით თებრო არ ჩავადლო უხერხულობაში. ეს მაკავებს და ესა, მეტი არაფერი.

— აბა, კაცო გამხიარულდა ტატე, — ბარად ერთ სოფელში ხომ ხართ? ხართ! უხერხული არ არის? არ არის! მთაში ვითომ რა უნდა დაგერიოთ? არაფერი!

— მართლაც რა უნდა დაგერიოს, — უეტრად გაიფიქრა იოთამმა და იქვე ხმადაბლა დაუმატა, — აბა, გავსწევ, მე ჩემთვის, ის თავისთვის, როგორც აქ, ბარად.

— ახლავე დაიძარი, დაწეი ჯოგს, ჩაიბარე, კოქლი პარმენა შენ დააბრუნე, — ბრძანების რიხით უთხრა ტატემ იოთამს და ისევ საუბრის კოლოს დაუბრუნდა. — სანამ მომწვადები, ფერმის გამგედ დანიშნის ქალღელსაც მოგაწვდი. ამაზე გამგეობის წევრები დიდი ხანია შეთანხმებული ვართ, ოღონდ, რაღას ვაყოვნებდი კი სწორა გითხრა... — თავმჯდომარემ დანარჩენი აღარ განმარტა, იოთამი ხელი გაუწოდა, — გასწი და გაემარჯოს!

იოთამი მანამდე იდგა ერთ ადგილას, სანამ ტატე კანტორისაკენ წავიდა. მერე თვითონაც მიაშურა სახლს. გზად ბარემ სამჯერ ქვას წამოჭრა ფეხის სულსა და ხორცის გაყრასავით მწვანე წუთი იყო მისთვის ბართან გაშორება. წლებადღელი მისი ნათესები ყანის უნახავს გახლიდა კაცს. ენანებოდა მათი დატოვება, მაგრამ დახე, რა მოსდის იოთამს! სული წიფლის კარავისაკენ მიუბრძის, გული მისკენ ეწევა, ვისთვისაც ფერმაში დიდი ხანია ფეხს არ დაგამდა, მასთან შეხვედრა სწყუროდა, ვისაც გზას უქტედა შეხვედრისას. და მერე როგორ?! ახლავე, აქედან უნდა გაიქცეს წიფლის კარავზე ირგვინს მწვერვალთან.

* *

ჯოჯი დიდი ხანია გასცილდა სოფლის არემარეს. კოჭლი პარმენა ცხენზე იჯდა. გულარხინი და მიპყვებულა უკან მწყემსებსა და საქონელს. წინ ნელა მიიწეოდნენ. ბაგაზე ნაბამ პირუტყვს მარდად სიარული უქირდა. ხანდახან ახლად გაფოთილი ბუჩქნარს და მატყლივით სქლად ამოსულ ბალახს მოედებოდა. მწყენის სუნი გაღიზიანებული ხარები ბუღრაობდნენ, სვამდნენ მთის ნაკადულს. სუტადნენ ახლად აყვავებულ, სურნელოვან მწყერიფებს, მრავალძარღვას და რძიან ღიქას. ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის ბლომად ერთა ზვინისოდნენ ველის წითელი ფურები. ჯოჯს უკან მისდევდნენ ჯერ კიდევ ფლოქვებაუშვარებელი ხბორები. ისინი თებროსთან ერთად რაზდნიემე გოგონას მოყვდა. ხბორებს აფრთხობდა ტყის გუგუნნი, წყლის ჩხრიალი, ქორის წივილი, პეაღების ფარფატი. ხანდახან კუდებს აპირებდნენ, აკუნტარუშდებოდნენ, დაიფანტებოდნენ, ეკლიან ქუორნალში იკარგებოდნენ. ასე სიარულით შუადღემდე დასაძლევ მანძილი დაღამებისას ნახევარზე მეტი კიდევ წინ ედოთ, შეღმარებებიც დაიწყო, ფრიალო, ხეხუზიანი.

* *

იოთამ გოგატქემ დიდხანს იბორიალა შინ. ასე უცებ ფერმის გამგედ დანიშნვის მისთვის მოულოდნელი იყო. ტანსაცმელი მალე გამოიცვალა, მაგრამ საგუნდის მომზადებამ დატანჯა. ვერ მიაგნო ხურჯინს, ვერც თანწასაღები ჭურჭელი შეარჩია. არხად ჩანდა დანები, ხოლო თეფშებზე განჯინაში მტკვრი ეყარა. კილობანში პური დაობებულიყო. შარშანდელ ხახვსა და ნიორს ფოთლები გაჩნდნა სხვეში. ფეხის ყოველ გადადგამზე გარდაცვლილი ცოლი, პატარა ტანადობის, ბზრიალასავით სწრაფი და გამრჯე მარიაში აგონდებოდა. ხელბარქანი და ფაქიზი დიასახლისი ჰყავდა. ამნაირი შემთხვევის დროს მისებრი გულმსურით ქალი ვერ დატრიალდებოდა აფხაზში. არაფერი დაავწყვედებოდა. ხელდახელ გააჩნდა გაუჩინარს. მერედა სადღა მარიაში. მესამე მშობიარობაზე ლოგინში გამოშუშებას არ მოუცადა, გაცივდა. გვიან გაუყო იოთამმა, ვეღარა უშველა რა, დასუტა თვალები მარიაში, წავიდა ამ ქვეყნიდან, სიკვდილით უღალატა. იოთამს ბავშვები მეორე სოფელში ეწარდებოდა სიღრმეთან. მარიაშის ხელის დოვლათი აქამდე მოყვა ოჯახს. მეორე ცოლის შერთვას აბა რაღა დაფიქრებინებდა. განა ჰკადრებდა პირველი ცოლის სიხვნას სხვა ქალის შინ მოყვანას? მაგრამ ერთ დღეს ისეთი რამ მოხდა, რასაც იოთამი სულ არ მოელოდა. თებროც დაქვრივდა. ის თებრო, რომელიც ომში წასვლამდე ბიჭობისას თვალსა და გონებაში ჩავარდნა. შერთვა ვერ მოასწრო, ისე კი გულში თავისი დეგულებოდა. შინ დაბრუნებისას იოთამმა პირველი თებრო იკითხა. გასახარებელი ვერა უთხრეს რა. გათხოვილიყო მისი თებრო. გული დაეშანთა. რაკიღა მე ამცოდნა, ღირსეულს მაინც გაყოლიდა. ახლოდან იცნობდა თავისი დეგულების ქმარს. შესახებავად არა უნავდა რა, მაგრამ ერთი უხიავი ვინმე იყო. კოლმურენობაში ვერ მუშაობდა იმიტომ, რომ ძალუმაღ ხელის მოქნევა ეძნელებოდა, ვერც მხახვრობდა — სწავლა აუღდა, რომ იტყვიან, არც წყალი იყო და არც ღვინო. კალათებით ხილი მიჰქონდა ქალაქებში. იქ ყიდდა, ამონაგებს სასწრაფოდ. თებროს ასეთმა უიღბლობამ სულ ხელი მოუთავა იოთამს, მე თუ გაუუბედურდი, ის მაინც ყოფილიყო ბედნიერი. მაშინ ის ცეცხლი მარიაშია შეუნდა, მერე ჩაუჭრა კიდევაც. მაგრამ, შეიძლება თუ არა თებროს დაქვრივება, გულში დაგროვილი ნაღვერდელი თავისთავად გადაიქექა. შიგ ჩამალული ნაპერწყალი გადვივდა, ბოლოს ალის კუდიც გაქანია. იოთამმა გადაწყვიტა თებროს შერთვა. იმდღე ჰქონდა, არც ქალი ეტყოდა უარს. დარწმუნებული იყო, გარდაცვლილი ქმრის ხათრი დიდხანს ვერ გაკვებოდა თებროს. მისი გულისა არ შეხვდა და იმიტომ. მსმელი, უქნარა, სასმელის გზაზე გატყდა. მაყრონიდან მომავალს ხილზე ეჭმა შეშლიდა, რიყეზე დაეკრა თავი, იქვე გაეფრთხო სული. თებრო მაშინაც ფერმაში მუშაობდა. მთელი ოჯახი გაჰქონდა თავისი მარჯვენით — ბავშვები, დედამთლი-მამამთლი. იოთამს ამ საბუთებს კიდევ ერთი, ყველაზე მეტად სარწმუნო საბუთი ემატებოდა. კვირა საღამოს ქვრივს მოძრავი კინოს სიანსზე შეასწრო თვალი საციხის დიდი მუხის ქვეშ. თებროს შავი მანდილი ეხვა. გრძელ სკამზე იჯდა, სურათის დაწყებას ელოდა. გამოჩნდა თუ არა იოთამი, მაშინვე ჯერ ადგილი გადაიანაცვლა, მერე სულ მოცილდა იქაურობას. სურათი აღარ უნახავს. იოთამმა ბევრი აცეცა თვალები, ვერსად შენიშნა ქალი. მისი იდუმალებით გაცლა კაცს დანახვაზე მეტად გაეხარდა. ემა. მისვდა, იგრძნო, თებროსაც ენთო გულში დიდი ცეცხლი თუ არა, პატარა ობოლი ნაპერწყალი მაინც. აიტი შექნებულმა იოთამმა იმ კვირაშივე თავის მამიდა მიუგზავნა ქალს სიტყვის გამოსატანად. მამიდამ მისწულს დავალებს შეუხრულა, ოღონდ საიმედო ვერა მოუტანა რა. „ნეტავი როგორი კაცი უნდა შემეძლოს, რომ კვლავ გავთხოვდეთ“, დაებარებინა თებროს. იოთამმა არ დაუჯერა მამიდის მოტანილ ამბავს. გაცივდა. თებროსთან ქალი დიდხანს ვერ გაძლებს გაუთხოვარი. შუამავალს თავი დაანება, რამდენჯერმე მოულოდნელად შეხვდა, მოიკითხა. მერე მიდიოდა მინდორში, — გაუვლდა ქალს ფერმაში, დაბრუნდებოდა იქიდან — ისევ გამოუფიქრა. გასწვდა რაიონში თუ თბილისის საკოლმურენო ბაზრობაზე — შეუთვლიდა ხომ არაფერს დამპარებო. ერთხელ ნართვლებს თებროს ძმებსაც შეხვდა სადღაც, შინ მიიპატიუა. ისეთი პურმარითი სავსე სუფრა გაუშალა დაკარგულ საცოლისძმობებს, რომ დიდხანს ახსოვდათ სტუმრებსაც და მას-პინძელსაც. ამის შემდეგ პირდაპირ, უშუამავლოდ შეეძლოა. ფერმის ევოში ზვინის დგამდა იოთამი, თებრო ფიქლით საქონლის საკვებს აწოდებდა. დახვენიებისას გაბედა:

- ჰა, თებრო, ქალო, აღარ უნდა გათავდეს შენი ქვრივად სიარული?
- ქალო თითქოს ვერ გაიგონაო, ხმა არ გასცა, იოთამი კი არ მოეშვა.
- ხანაშიდ გინდა-მეთქი იარო ქვრივად?
- ხანამ ვიცოცხლებ.
- იქნება ერთი საუკუნე ძლებ, ჰა?
- ასე გავძლებ!
- აგრე რომ არ ვარგა?
- შენ ვახარებხარ, მირჩიე რაზე თავგზიანი, — დამცინავად შეხევეწა თებრო.
- თუ ხინდისი მაქვს, თუ თავზე ნამუსის ქული მხურავს, თებრო, ზედ დაგელოვეი სანთელივითა.
- მოქერი, რა გინდა?
- იყო ცივი პასუხი.
- რა მინდა... წამყვი და...
- ენა დება იოთამს, სათქმელს თავი ვეღარ მოუყარა.
- ცულა სიზმარი გინახავს, იოთამო, ჩემი შროშანა ქალომა გავანავე და ის არის.
- რაო, ქალო, — ამოიკენესა იოთამი.
- მე და შენ შორის ორი გზამართალს წასულის საფლავია, მათი შემოვლა მიჭირს, შენისა კი არ ვიცი.
- ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

— ეს არის, და ეგ სურვილი გულიდან ამოიგდე, გონებიდან მხურავლე მანთით ამოიწვი, თორემ!..
თებრომ ცრემლების დასაფარავად თავშლის ბოლო მიფარა თვალებზე.
— თორემ?
— თორემ აღარ დაველაპარაკები და მხოლოდ ამას გამომჩნებ, — გაწყვეტინა ქალო.
— რაღაო, ქალო — კვლავ შეეცადა იოთამი.
— ერთხელ დაუფიქრებლად დავიწვი პირი. ახლა კიდევ... მეორედ?! არა, არა, მორჩა და გათავდა, აღარ გავთხოვდები.
— მეც მაგას გეკითხები, რაღა-მეთქი?
— რაღა! — წამოიძახა გამწარებულმა თებრომ. — ახლა გათხოვებაში გარჩენის ფასს ვეძებ და იმიტომ.
— წამყე და გეცე მისი ფასი! — კვლავ მიეცა იმედი იოთამს.
— არ, ეგ მხოლოდ სიტყვაა, მეტი არაფერი, — მიუგვო თებრომ და გამოუმედილობდა გაცივდა.

იოთამი მაინც არ მოეშვა. ერთი კვირის თავზე ისევ გაუმეორა თხოვნა. თებრომ სიტყვაც აღარ გაიკარა ახლოს. გაუწყრა, გალანძვლა კიდევაც, ალებარი ყოფილხარო, უთხრა და დაუბრა საშუალოდ. მერე აღარც იოთამი მიძალბა. ხელი ჩაიქნია, ან სხვა ვინმე ყავს არჩეული, ან მართლაც გათხოვებას არ აპირებსო. ბოლოს იფიქრა და თავისი თავიც დააფერა: ჩვენ რომ ბედი გვქონოდა, მის თავისი ქმარი გამოადგებოდა, მე კი ჩემი პატარა ჯარა მარიაში შემჩრებოდა. ამ დასკვნის შემდეგ ცდილობდა თებრო არც მოგონებოდა, არც შეყროდა. ამიტომაც აღარ შედიოდა ფერმაში, არც ავად, არც კარგად.
იოთამის ეს თავგადასავალი იცოდა ტატე ძიძიშვილმა, ებრალებოდა ახსნა-ნაგი, მაგრამ აბა მის ხელთ რა იყო და რა შეეძლო. სიყვარული რუ ხომ არ არის, როგორც გინდა რაღვი ისე გაუჭრა და საიოცა გინდა იტი წაიყვანო წყალი. ამნაირ ურთიერთობაში იყვნენ საციხის კოლმურენობის ორი მომუშავე. ერთმანეთის სამდურავი არ მართებდათ. მაგრამ არც ტკბილი მეზობლობის და მეგობრობის საფუძველი ჰქონდათ. უბრალოდ კი მიიმედ გადიოდა დღეები, თვეები, წელიწადს წელიწადი ცვლიდა და ორივეს ხარვანება ემატებოდა: იოთამი მეინდვრე ბრინჯადირად მუშაობდა, თებრო კი მარჯვედ ტრიალენდა ფერმაში. მწველავი ერქვა სახელად, თორემ მის კისერზე გაკადიოდა დიდი ფერმის საზრუნავ-სარჯელი.

* *

ეს მოსაგონარი მიპყვებოდა გულის ტვირთად მთავალ იოთამს. ადვილი როდი იყო იგი საზოგადოდ. და თუ მას მიუმატებო კარგად გავხილ ორთვლიან ხურჯინს, ძალიან უქირდა სიარული. დღე-ღამის გაყრისას ძლივს დაეწია ჯოჯს. საღამოს დაისის სიბნელეში ზედ წააწყდა დეგულოზე დაწოლილ ხბორებს, რომლებიც შიშისაგან გულგახეტებლები სწრაფად წამოხტნენ და კუდები აპირინეს უგზოუკვლოდ გასაბეჭავად.
— ვინ მოიღის — გაისმა.


იოთამმა უშაღვე იცნო თებროს ხმა. ქალები ცეცხლის პირს იხსნენ. დამფრთხალი ხბორების შესაკავებლად ზეზე წამოიჭრნენ, ანთებული მუგუზებით და სახრებით ხან აქეთ დარბოდნენ, ხან იქით. იოთამი ჩაცუცქდა, ბუჩქებს მოეფარა, დამალა. არ გავხმარა თებროს. რატომ ჩაიღინა ეს? ანაბ თვითონაც ვერ გასცნობდა პასუხს. როცა ხბორები დამშვიდდნენ, წამოდგა, ფეხაკრებით შემოუარა ხანაკს, ნაკადულს გადააბიჯა, გზა ტყით მოსჭრა, წიფლის კარავისაკენ დაწინაურდა. მალე მალა-მალა ასვლა იწყო. ამ დროს დაგვიანებული მთვარეც ამოვიდა ცაზე. გაანათა ბილი-ქარაფები, სიარულიც გაადვილდა.

წიფლის კარავი, საციხელების საძოვარი ავარი, ირგვინას მწვერვალთან, ლიბან-ბანისის ვაკეზე მდებარეობდა. საჩხრები, ქართები და რძის მისაღებ-გადასამუშავებელი შენობები ერთ მუდროს ტაგობში იყო გამართული. შენობებს ზედ მოსდევდა საბალახო. ეს იყო წყალგამყოფი ვიწრო ქედი. საძოვრად ვარგისი ამ ქედის ვაკე სივანით ნახევარი კილომეტრაც არ იქნებოდა. სიგრძე კი ჯერ არავის გაეშომა. იწყებოდა იქ, სადაც ლიხი ეკვასიონს ეყრება. ასე ქართლსა და იმერეთს შორის ჩაწოლილი თავდება იქ, სადაც მისი მეორე ბოლო, სადაც ხარავოლის ზემოთ, რკინიგვართან აჭარა-ახალციხის მთებს უერთდება. ქედის ცერდები წიფლისა და ცაცხვის ტყეებს, მათ ქვეშ კი მატყლივით გაბმულ ვაცმულ ქუორ-წყალს დაუფარავს. ქედის ერთ ყველაზე დასამხრის ადგილს საციხელების საძოვარს სახელად ერქვა წიფლის კარავი. ყრმობიდან იცნობდა მას იოთამ გოგატქემ. მამამისი ბიჭია, იქ ძველ მესაკუთრებს, საჩხრელ წერეთლებს და აბაშიძეებს, ავღველ აპირაჯიბებს და ატოკელ დიდებულებს, ერთმანეთის სიძე-ცოლისძმებს, მაშინდელი-ბიძაშვილებს, გაუყოფელ მთაში, ტყის მცველად ყავდათ. ლუპოობისას, მაის-ივნისში, ბიჭია შეისვამდა პატარა იოთამს ცხენზე, გაქულავდა ირგვინასაკენ. ამ მწვერვალის ძირას წიფლის ქვეშ ედო ბინა. თოვლის ჩამოყრამდე საციხეში აღარ ჩამოდიოდა. მთაში ხეტვის მოსაქრელად უბრებოთ ადგილდნენ დასავლეთიდან იმერელები, აღმოსავლეთიდან ქართლები. მიჰქონდათ საშენი მასალა, ურმის ხეები, ხდიდნენ ყავარს. საჩხრელი მევენახეები კი თვალშეუწყდენი მოდანი ცაცხვიდან ნავსაწინებლებს და გობებს თოლდნენ. ბიჭია სატაბიკე ტოტაც არავის აქრევიდებდა ფერდობებზე. სამაგიეროდ არავის უშლიდა ვაკეების გაჩვენას, სადაც წყალი მაინც(დამაინც მიწის ვერ გაგლეჯდა და ხრამებს ვერ გაჩენდა. დროთა განმავლობაში ნატყევარი მშენიერ საბალახებად იქცა.

ბიჭია გოგატქემ ერთი დიდი წიფლის ქვეშ ედგა წნელით მორავული, ცაცხვის ქერქით გადახურული კარავი. იქვე წინა ფეხის ფლოქვით იმავე წიფლის ფესოზე გაომბული ყავდა ქურანა იაბო. ახსოვდა იოთამს, როგორ სწმენდა მამასთან ერთად ჯავარს. მერე სამყურას ქერქებს მოაწვეოდნენ ნიდავზე. ასე შიშველ ნატყევრული ისევ მწველი იფარებოდა, ყვავილებით იქარგებოდა, მაგრამ ყოველივე ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავი იყო.

* *

მიიჩქაროდა იოთამი მთვარით განათებულ ბილიკებით. ირგვინას ფერბით. წიფლის კარავზე, ბავშობიდან შეყვარებული სანახაობა ელოდა. შუაღამისას ააღწია ქედს. ბინის გარედა აუარა. წიფლის ქვეშ მივიდა მამის ნაკარვალთან. ნაბად გაიგო მიწაზე, ხურჯინი თავით მიიღო. დაიბინავა. ოღონდ თვალი ვერ მოატყუა. შავი ზღვიდან წაოსული ნისლი და თიღები ქედის დასავლეთის კალთის ტყეებში გახლართულნი წყალგამყოფ ხაზზე აფრებივით ამართულიყვნენ. დრუტლებს, უნწნა წვიმად რომ იდგებოდნენ, სავსე მთვარე მინათობოდა და შვიდფერად აებრიალებინა. ქედს ზღაპრულ თაღვივით მრგვალი, დამის ცისარტყელა ედგა ზემოდან გვირგვინივით. ასეთი სურათი იოთამს მხოლოდ იქ, ირგვინაზე და წიფლის კარავზე ენახა ხოლმე. მისი ცქერით გოცე-ბისაგან მონუსხულს არა ერთი დამე გაუთენება თვალდაუშუკავად. კიდევ უფრო მეტად საოცარი სანახავი იყო ბიჭიას წიფელი. დეფური ხე მინდვრის ნაპირას იდგა ფერდობების ქიშკი. მის ჩრდილში გაუთენული მოტრიალდებოდა



სამორე ტოტები მძლავრად გეშალა. თვალუწყვდენ სიმაღლეზე შეეტყობინა ცაში კენჭერო, თითქოს ვარსკვლავებს კენჭალობას ეთამაშებო. მთლად გაფოთლილი, ტანთერი ვიგანრი ყვავდა. გუგუნებდა, ნელსურნელს აფრქვევდა. ლაღი და საამო იყო მის ქვეშ სუნთქვა.

განთიადზე ცაშ ცვარი აკურა მწყას. ბრიგადირი უმაღლეს წამოგდა, მინდორში გაიარ-გამოიარა. ბლახს და ნეშოს მარგალიტებივით წყდებოდნენ ანკარა წვეთები, იოთაშს უხველებდნენ წვივებს და მუხლის კვირისტავეებს. მალე მზემაც კრა ოქროს შუბი ირგინას, აფრინდნენ ფრთოსნები, გალობა მორთეს შაშვებმა.

ბუნების ამნაირი მშვენიერებით მოხიბლული იოთაში ერთ ხანს გახევებული იდგა. ის განიცდიდა გამოუთქმელ სიტკბობას და მღვლვარებას. ამ ქედზე, ამ ხავერდზე, ამ ტყეებთან, დამაღამობით ამ საოცრად ანთებულ დრუბლებთან უნდა გაეტარებინა მის მთელი ზაფხული და სექტემბერი. ასე ტკბილი ოცნებით აღსავსე მიადგა ბინას და როგორც უფსკრულის წინ, უცერად შედგა. ერთი შეხედვით მოეჩვენა თითქოს თვალში ატყუებდნენ. შარშანდელს აქეთ ბინებში აღარავინ ყოფილიყო. ნამშრალის შესასვლელი კარები ფიცრებით ჯვარდინად აქედნდა. აქა-იქ სახურავისათვის ქარს ყვარის აგვლიჯა. შენობების გადაღმით, წყარო ჩაქცულიყო. დაქანდებული დარი ძირს ეგლო. ხოლო წყლის დასაგუბებელი გეჯა ლექსა და სილას პირთამდე ავესო, დრმად ჩაეშარხა. ერთი კვირის წინ წიფლის კარავზე დასაჯვრავად და სათავსების შესაკეთებლად გამოგზავნილი კოჭლი პარმენა საციხელებს საერთო კრებაზე ეფიცებოდა:

— რას აზრობთ, სადარდო რა არის? სამოვრების და ბინების მოწყობას თან გადავყვე, საქონლის მთაზე აყვანის მეტი აღარა გვჭირდება რა.

— შე, ზეი, თებრო! — მწარედ ამოიკვნესა ამის მნახველმა ბრიგადირმა — გაიტყვენ ზოგიერთები გულს ვაჟაკებზე, მა რა იქნებოდა? გუშინ კი არ გამიცინია შენი მართალი გული და თვალი. მიგხვდი რატომაც აღარ მენდებოდა მაგარამ არა, ჩემო კარგო, სულ ისე არ არის, როგორც შენ გგონია. სადაც საქმეს ორგული ყავს, იქ პირველი ერთგულია. ამოხვალ წიფლის კარავზე, იქ იოთაშია, ნახავ, როგორ დაგხვდება!

ამის თქმა იყო და ბრიგადირს კუნთებმა უსუსტა, გულის ხუთვა იგრძნო, აქი პირობა დადო, თებროს სახელიც აღარ ეხსენებინა. სახელის ხსენებას ვინდა ჩივის, თებრო, თებროო, ახოვებს კიდევაც. და თითქოს საკუთარი თავის დასასჯელად, ეს რა მომდის, თუ ვაჟაკი ვყოფილვარ, ჩემს თავს ისევე კალაპოტში ჩავადგებო, წელზე შემოჭრილი დედევი გარკობილი ნაჯახი გაიძრო, ახალგაზრდა სწორ ცაცხვს მოუნაცვლა, წააქცია, გაატყავა, ღარის გათლას შეუდგა. როცა დარი წყაროს დაუგო, ნიჩბით გეჯაც გაწმინდა, ამოყარა ჯეღლი, სილა, გარეცხა. ბოლოს სათავსოების კარებიც გაღო და ისევე გეჯასთან დაბრუნდა. ამ დროს დაწინაურებულმა ხარებმა ვაქეზე ამოაღწიეს, მოაბადვლეს იალაღს, გამოიქცნენ წყაროსკენ. გულგახურებულები დაღვივებ სავსე გეჯას, ზვრებდნენ წყაროს გემრიელ წყალს, ნასიამოვნები დრუნჩებს მალდა იწყებდნენ, შეისუნთქავდნენ მთის ჰაერს და იშლებოდნენ საიათამადე ავარდნილ, აყვავებულ მწვანეზე.

იოთაში თავაუღებლივ მუშაობდა. შუადღისას ის უკვე ასწორებდა რძის გადასამუშავებელ ქვეტირის მცირე შენობას და ქვიშას აყრიდა ბილიკს, რომლითაც ქაღალდს წყაროდან წყალი უნდა ეზიდათ ჩასაკვეთ ქვაებამდე. ამ სამუშაოთი შთანთქმულს, ყელისკერზე დარაიმხვეული თებრო მიუახლოვდა. შეღმართვე სიარულისა და სიცხისაგან დაოსებულ ქალს შრავალი, ფართო, ნესტოები ისე ეტრებოდა, თითქოს წიფლის კარვის მთელი ჰაერი სულ მარტო მას არ ეყოფა შესასუნთქავად.

— იოთა, ვხედავ, შენ ხარ, მაგრამ აქ საიდან გაჩნდი! წაადგა თავს ქალი ბრიგადირს და ცეცხლის მფრქვევი თვალებიც მიაშტრა. იოთაშა სწრაფად გახედა მას. არა, არ მოუტყუებია სმენას.

— წუხელის ამოვიდი! თავაუღებლად მიუგო.

— დამით შენ ავკიარე გვერდი? ხობრები შენ გადამირიე? — შეეკითხა ქალი. იოთაშა თანხმობის ნიშნად თავი დახარა. თებრო კი განაგრძობდა.

— კაციშვილის ფეხის ხმა მაშინვე ვიცანი. მთელი დამე ფეჭობდი, აქ რაღაც ამბავია, აბა, თავი ვინ დაგვიარა-მეთქი. — მერე ხმას აუშალა, — სახობრეს სახურავში ცა მოსჩანს, მწყემსების საწოლ ბინაში ნარები თავდაყარა ყრია, თონე ამოვსებულა. აქა გვარწუნებდნენ, მთაში ყველაფერი მზად არისო, რად ვენდე ვისიმე სიტყვას, დამიდგეს თვალები!

— თვალები მატყუარას დაუდგეს! — ჩაიღმუვლა იოთაშმა.

— დაუდგეს და გამოსხრია, მეორე ფეხიც მოსტეხა იმ მარლსა და კოჭლსა.

— ასე მე მლოცავთ და მამკობთ?! — შეერია ორის გულმოსულ კოჭლსა მესამის, — კოჭლი პარმენას ხმა. — რაც გინდათ თქვით, — და იოთაშს აუხრია.

— ვინ შეგებენა ჩემს საქმეში ჩაეჩხირო! არ გეყო, რაც საერთო კრებაზე გამომაქენე, საქონელს ხორცი არ აბიაო?! — მაშ, არ მეყო! — მიუგო იოთაშმა.

ცხენზე ჯდომისაგან მუხლებდარბუხებული კოჭლი პარმენა, ფეხებს სახაკილო ცხენით ღარის წყალს მიუახლოვდა. იქ შედგა. იღრიჯებოდა, ყვითელ კბილებს აჩენდა, ბუნარულ კრავების ქუდს ხელში ათამაშებდა დიდკაცურად. — მაშ მე მამკობდით? — კიდევ იკითხა.

— განა არ გეკუთვნის უფრო უარესიცა! ვაშგეობის კრებაზე ერთი მტკაველი ენა რად გაავდე და დაგვაჯერე, წიფლის კარავი საქონლის მისაღებად მზად არისო!

მიახალა გაჯვარებით იოთაშმა. პარმენას მოთმინება დაეკარგა.

— ენა გაჩერე, თორმე... ფერმის გამგე მე ვარ... — და აყვირდა, — დაეხსენ კარავს, საციხისაკენ გაუდექი ვაზს, ჩაიარე, ჩაიარე!

— როგორაო, ჩაიარე! — დასტყვივლა იოთაშმა. ერთი ნახტომით მივარდა, მის წინ დაეხსო ქვის მიმღე ბოძივით. თვალებს უბრალოდებდა. თითქოს ეუბნებოდა ფრთხილად იყავი, ხელი არ გააკანო, თორემ შემოღან დაგეცემი, ქვეშ მოგიყოლებო. შიშისაგან აკანკალებული ფერმის გაგე ძლივს ბლუკუნებდა:

— აბა, ჩემი ზურგი, კისერიც მანდვდა და კეფაცა. ერთხელ დამარტყი, ერთხელ დამაწე თითი, პროკურორი თავისით მოგნახავს, თუ ეს არ გინდა, საციხეში დაბრუნდი.

— იმ, შე უნაითო და უპირულო, ახლავე თვითონ შენ გაბრუნდი საციხეში. შეტვირთა იოთაშმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტატე ძიძიშვილის განკარგულება, ფერმა იოთაშს გადააბარეო, ხელში ჩაუღო.

— მაგის წინააღმდეგ აღარა მეთქმის რა.

ჩაიდუღუნა პარმენამ, ცხენს მოეგვო, თავქვე დაჰყვა. თებრომ თვალი გააყვლა თანამდებობიდან მოხსნილ ფერმის გაგეს და სცილილი ატყუდა. მაგრამ სწრაფად თავი შეიკავა, რამდენჯერმე ეხედა პარმენას, რომელიც ავი თვალის უკან იხედებოდა და ცხენი ძუნძულით მიჰყავდა. მატყუარა და გულდვარდიან პარმენას ასე გაცლამ მთელი არსებით შეაშფოთა თებრო. თაზე ხელი წაივლო. ქალის ალღოთი მიხვდა, რომ ფერმის ყოფილი გამგე სულ არ წავიდა, ისევე უაბრუნებას ეჭქრობდა. იოთაში კი მშვიდად მუშაობდა და აინუნშიაც არ იყო, რომ წინათ ნაწყენი, ხოლო ახლა უკვე მტრად ქცეული პარმენა შეურაცხყოფას ადვილად ვერ აიტანდა, სამაგიეროს გადახდას შეეცდებოდა.

ქედზე დარი დაიჭირა. მიწას, ჰაერს, ტყეს დღით ცხრათვალა მზე ათბობდა. დამით ცაზე ვარსკვლავები თამაშობდნენ. კავკასიონიდან ძირს დაბალ ქედზე მონახები ცივი ჰაერის რაღვებს ზღვიდან მოსული თბილი და ტენიანი ნიავი ალბილანებდა. მაგრამ სადა ჰქონდა თებროს იზოლან სიმშვიდე, რომ თუნდაც ერთხელ დამტყვარყო ბუნების ამ ნაშაბინძვლივით. ის გაუღებებით ფიქრობდა კოჭლ პარმენაზე. იცნობდა მის ქირვეულ და შურიან ხასიათს. შეეცდებოდა სამაგიეროს გადახდას. თებროც ვარაუდობდა, წარმოედინა როგორი იქნებოდა ეს სამაგიერო, მაგრამ ერთ აზრს ვერ დაადგა.

იოთაშს კი თითქოს დაავწყდა რაც მოხდა. პარმენას სახელსაც არ ახსენებდა. წუთით არ ისვენებდა, ათი ხელი და მხარი გამოიხსაკცხა. მაშინვე თავი შეუყარა მწყემსებს. ქარები გაამარგა, შენობები გადახურა, კირით შეფუთეს რძის მისაღები ქვეტირის სახლი. სულ მალე წიფლის კარვის საძოვარს აღამაინეს ხელის ამარა შო მისცა და ხმაურმა გამოაცოცხლა. ზამთარში მთლად მიყრუებულ მთაში დღისით სიმდრა, გადაძახილები, საქონლის ბლავილი გაისმოდა, დამით კოცნები ბრალდებდნენ სადგომებთან.

საფიქრალი თებროს ნებას არ აძლევდა ამ მხარულეებს მთლიანად მისცემოდა და მთელი არსებით ჩართვოდა. დღითი დღე პირქუში ზღებოდა, მაგრამ სიფრთხილის გრძნობა უათქვეცდებოდა. სამუშაოს დამთავრების უშალ, მცირე დროს იპოვინდა თუ არა, სამოვრებს ათვლიერებდა. მოელოდა კოჭლ პარმენას. ცდილობდა მიხვედრილიყო საიდან და როგორ მოადგებოდა წიფლის კარველებს სამაგიეროს გადახდელი.

იოთაში დამაღამობი წიფლის ქვეშ ბინდობდა. იქ, მამის ნაკარვალთან, ქჩხას აგებდა მიწაზე, წამოწებოდა, ნახავს წახურავდა, იძინებდა. დღითი ფრინველზე ადრე იფიქვებდა. მწყემსებს, მწყვლავებს, შემდეგ კი ბარბიან ფრინველ ამოსულ მთბავეებს მისი განმარტოება არ მოსწონდა. განა გადახურულში ჩვენთან არ ურჩევნიაო, — ამბობდნენ. მხოლოდ თებროს არ წამოსცდინია საუკედლო. გულში იოთაშს ემბრობოდა. დევე, მისი გუნებისად კიდევაც იზრობოს, კიდევაც დაისვენოსო. ქალს ერთი ეჭვი აწუხებდა მხოლოდ, კაცს იქ, წიფლის ქვეშ ხიფათი რამ არ გადაეყაროსო.

თებრო ხშირად აუღო-ჩაუვლიდა ხეს. დღეხანს ათვლიერებდა მის ტოტებს და მთლიანდ ბორცვებს. იდგა სერზე უტყვი და დელუბლებით მოცული წიფელი, არავის უმხელდა თავის მძლავრი სიცოცხლის ამბავს. თებრომ დამითაც ინახულა იოთაშის აჩემებული სადგომი. ის ყოველთვის ძველ ნაკარვალთან ტრიალებდა. ახლა მას ბიპისებურად წვიმის დროს თავშესაფარი გაუკეთებია. ქვირის ტოტებისაგან კედლები მოერგავა, ცეცხვის ქერქებით გადახურა. ხშირად წვიმის დროს ცეცხლიც ენთო შიგ, კარგ ამინდში კი ნახადი მინდორში გაჰქონდა, დააგებდა, წამოწეოდა, სულგანაული თებქვეროდა ცასა და დრუბლებს, თვლიდა შორს მოკაშაზე ვარსკვლავებს. თებრომ ტვრჯერ დააპირა გამოლაპარაკებოდა კაცს, გაეფრთხილებინა, თვალყურიანად ყოფილიყო, მაგრამ ვერ მოახერხა.

ასე ოჩოფობაში თითქმის შემოელია ზაფხული. კავკასიონის შორეული მაღალი მწვერვალები დათოვა. წიფლის კარვიდან თერთად მოჩანდა ყაზბეგის მარად ქალბა თავი. დღლიათი ხეხვეთები იგებოდა რუხი ნისლით. საქმე კი არტოტო ცუდად მიდიოდა. ჯოჯო მკოცედა, სიმსუქნისაგან დამრგვალებული ხარები ფეხებს ვანვე იდგამდნენ. თითქოს პარმენა დაცხრა, შეეგუა შეურაცხყოფას, ქედი მოიხარა, მაგრამ თებროს დაშვიდების არა ეშველა რა. ქალებმა ბაიოდან ამბავი ამოიტანეს, კოჭლი პარმენა სამუშაოს აღარ ეკარგებ, ზურგზე კალათი კიდია, ბაზრებზე დღისი, ხილი მიჰქვს-მოჰქვსო. როცა შინ არის, მწყერზე სანადიროდ დადისო.

შემოდგომა და საქონლის ბარად ჩარევის ვადა კი სულ უფრო ახლოვდებოდა. მთაში აციების ნიშნებიც გაჩნდა. ბოლოს მოლოდა, ავგისკო მუარისხვიში, დამით ქარისხალა წვიმამაც გადაუარა წიფლის კარავს. დღით მინდორი თეთრი ქამით აჭრებოდა. საქონლის ნაწილებზე წაფილდნა ცხვარიოები გაიშალნენ. თებრომ გდოროი აიღო, წავიდა მინდორის სოკოს მოსაქრვად. მოკასახებული და თბილი დღე იდგა, ისეთი, როგორიც ნაკარიშხლებს იცის ხოლმე მაღალ ადგილებზე. კარგა შორს მოცილდა ბინას. ის იყო გოდორი გაავსო სოკოთი, რომ სამოვრების გადაღმით, დიდი ხეებით და ქვირით დაფა-

რულ ღრმა უბეში, რასაც მწყემსები პანტარას ეძახდნენ, კვამლი შენიშნა. თებრომ სავსე გოდორი ბუჩქნარში ჩადო, გადაეშვა ჭყორნალში. მალე კოდა-ლებიდან მთლად დასვრტოვდა, ბებერ რცხილასთან მიადგა. ცეცხლი რცხილის ფულურის ეკიდა. მასობდელ ბუჩქებში კი იდგა მწიფე პანტიო სავსე ტომრები. იქვე ბლომად ეყარა ხმელი თივა და ფურღვენას ტაშისოდენა ბარდლალა ფოთლები. მოთვლილ მიწას ემჩნეოდა, რომ პანტარას ვიღაცა პანტარა ზოქავდა და ღამესაც ითევდა რცხილის ძირში ცეცხლთან. თებრო შეიპყრო სურვილმა, გაეგო ვინ იყო წიფლის კარველების იღუბალი მეზობელი, რომელიც მათ მას-პანტარას ერიდებოდა. მოჩქარებით გადაიღო რცხილას, გაძვრა ჭყორში, უბეს მერე მხრით მოექცა. იქ პატარა ბორცვზე ფოთლებს მოეფარა, გაუჩინარდა, გაუღარაჯდა. გონება კი არ უხვევებდა. ათასჯერ ასწორდასწონა წიფლის კარველს ზაფხულის განმავლობაში მომხდარი შემთხვევები.

პირველად მოაგონდა მოულოდნელად ჩაშრჩვალი ნავაზი. ეს ის ძაღლი იყო, რომელიც საქონელს საღამოობით მწყემსის შეუქუჩებლად, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო, ბინასთან მირეკავდა. ორჯერ თუ სამჯერ საქონელიც დაი-კარგა. ისინი მთის ფერდეს დაპყრობდნენ, ღრმა ხეში ჩასულიყვნენ წყლის და-საღველად. საღამოზე თვითონ დაბრუნდნენ უქმელობისაგან ფერდებჩაცვინი-ლები. ერთი თვის წინათ კი რქა მოიტყა ველისწითელი ჯიშის ღამაშმა ფურმა. ყველაფერი ეს იღუბალი მეზობლის ოინები ზომ არ იყო? დაე? ბოლოს ექვე ქალს და უჩაღვე დაასვენა, რომ ამ შემთხვევებს რაღაც კავშირი ჰქონდა რცხი-ლის ძირის ბინადართან.

ლოდინში დიდ დროს გაეგლო. მზე გადაიხარა. საღამო მოახლოვდა. თებრო თვალს არ წყვეტდა რცხილას. მზის ჩასვლისას გაისმა ჭყორის შრიალი. უბის გადაღმდინ შლაგუნით ამოვიდა კაცი. თებრომ უმაღვე იცნო ის. კოჭლ პარ-მენას ზურგზე მწიფე პანტიო სავსე გოდორი ეკიდა, ფრთხილად მოაბიჯებდა შამბებში და გარშემო იხედებოდა. როცა რცხილას მოაღწია, ტვირთი მიწაზე დადო, მიიხედ-მოიხედა და ცეცხლს სანათი მიუმატა.

თებრო მიწაზე გაერთო. ჭყორის ძირებში ხოხვით გასწია და კარგა მოგვი-ნებით მიხდორზე გადაწია. შეეცდებინებოდა მწყემსებისათვის, ერთად წასულიყვნენ პანტარაში, მალე გაეგოთ, ვის ან რას ემაღებოდა იქ პარმენა. წიფელს ვახშობისას გაუარა გვერდით. ერთი წუთით შეჩერდა. სანახობამ გული დასწვა. დღით ათას საქმე ნახიდვე, ნახადში გახვეული იოთამა მწიფე იცნინა. სიბრალულისაგან ქალს თავის კანი გაებურძგა და ტანზე ხოშკაკალა დააყარა. ერთი მოფრთხილებით არჩია განგაში ატეხა, წიფლის კარველები ფეხზე დაეყენე-ბნა, მაგრამ უტერად გაახსენდა იქ, პანტარაში დარჩენილი პარმენა და მისი ზავებში. აშან ენა ჩაუგლო. მასინ გადაწყვიტა ეს ამბავი არავისათვის გაემხი-ლა, თვითონ მარტოდმარტო მიქროდა კოჭლ პარმენას და მოეცლებოდა ის წიფლის კარავისათვის. თებრო დარწმუნებული იყო, რომ იღუბალი მეზობელი, იღუბლად ურევდა ნავარს მათ შექაშად. ერთხელ კიდევ შეხედა ნახადში გახვეულ იოთამს, გაბრუნდა, სირბილით გასწია პანტარასაკენ. ახლა გზა კარ-გად იცოდა, მაგრამ ადრე ჩასული მთვარის შემდეგ ჩამომდგარ უყუნი სიბნელის გამო თითქმის ვეღარაფერს ხედავდა. ფეხი უგლებოდა. ჭყორის ნიშნები ესო-ბოდნენ, შუშავდნენ, წვივებს და სხეულს უღუღუღებდნენ. კარგა ხნის სიარულის შემდეგ თავს დაადგა თივას და ფურღვენას ფოთლებზე წამოწოლილ იღუბალ მეზობელს. კოჭლი პარმენა ზეზე წაშვარდა, მუგუზალს ზელი წამოაფ-ლო და ის იყო მოქნიდა, რომ მაჯაში რკინის ქანჩივით წაქერილმა ხელმა მუ-გუზალი გაავლებინა.

— ვინა ხარ და რა გინდა ჩემთან? — შეჰყვირა შწინებულმა პარმენამ.
— შე ვარ! — გასცა ხმა ქალმა.
— თებრო! — წამოიძახა პარმენამ და მთლად მოეშვა, მოწყვეტილი დავარდა თივაზე.

— აქ რას აკეთებ? — შეეკითხა ქალი.
— პანტარს ვაგროვებ, ქალაქში ვეზიდები, კარგი ფასი აქვს.
— მერედა დასამალავი რა გქონდა, განა ბინაში ღამეს არ გაგააყვინებდით?
— ბინაში აბა, რა მოსასვლელი პირი მქონდა!
— მეც ვიცი, რომ არ გქონდა. მიიხარო რა უყავი ნაგავს?
— ნემსი ვაქამე, მომავლო პანტარაში და იმიტომ.
— საქონელი რუმად ვინ ჩარეკა ხევის პირში?
— ეგ ისე, გამემწარბიეთ-მეთქი?
— და იქნება ტყეში დათვსაც დაეგლიჯა, ხომ?
ამაზე პარმენამ არა უპასუხა რა.
— წითელ ფურსაც შენ მოტეხე რქა? მოსტეხე და სად გადაადგე!
— აქ არის. — აკანკალებული ხმით თქვა პარმენამ, გადაიღუნა, ბუჩქის ძირი-დან რქა გამოიღო, ქალს მიაწოდა. თებრომ გამოართვა, კეტვიით დაიჭირა ხელში და მიმართა:

— არ გაგამხელ, პარმენა, ოღონდ წიფლის კარავიდან ისევე საცხენში გასწი. ათრეე აქეთ-იქით შვინდით, პანტიო სავსე კალათები. მიიხარო, რას გვე-რჩოდე მაინც? რას აპირებდი?
— თუ მე ვერ გამოვდექი, ვერც იოთამმა იხიროს-მეთქი! — ჩაიბუზღუნა პარმენამ. — ამით მეზობლები მინდოდა დამერწმუნებინა, რომ გასულ ზამ-თარში ფერმის დაზარალება ჩემი ბრალი არ იყო, რომ იგი დაემართება თუნდაც იოთამს.
— ვაიმე, ეს რა მესმის — ჩაივლო თებროში ზელი ქალმა. — მეზობლებმა მე-თაურობა ვითავაზეს, საცხოვრებელ-საბადებელი განდეს, გითხრეს, იცოცხლე და გვაცოცხლო, შენ კი ვინაო და რას მივითხო. დასიცხული კამეჩივით ლაფში ჩაწევი.

— თებრო, — შეხვეწა პარმენა. — რაც მოხდა, მოხდა. მე შენ კარგად გიც-ნობ, ნათესავი და სიტყვის პატრონი ქალი ხარ. ვიცი, მართლაც ნი გამთქვამ, მეცო ერთხელ თავის მოქრა.
— დიდად არ მენანები, — შეუღრინა თებრომ — თუ დაფარავ, არ გაგა-მხელ, ეგ შენ წვრილშვილს და იმ შენ, ჩემსავით უხერხილ ქმრის ხელში და-ტანჯული ცოლს უმადლოდე.
— მთელ ჩემ სიცოცხლეში შენი ხათრი და მოკრძალება მექნება. ამის მეტს აბა რაღას შეგძლებ.
ჩაილაპარაკა პარმენამ და თავი ჩაჰკიდა.
— იოთამს კი რაღას ერჩოდი, განა ერთი მოუხსნით თანამდებობიდან და მერე დაუყენებიათ მის მაგივრად? — კვლავ შეეკითხა ქალი.
— ოდნავ არ დამინდო, ნუთუ არ გახსოვს, როგორ დამცინა კრებაზე, „სა-ქონელი ოთხფეხი ბევრი დგას, ხორცი კი არ ასხიაო“. ესეც არ მაკმარა. მთავი კიდევ შენთან ერთად წყაროსთან რა ამბავი დამათია!
— ჩემთან ერთად! მაგით ვითომ რაო?
— შენთან შერცხვენას, მერჩინა, მარტოს გზაზე დამხვედროდა, ვეცემე!
— მერე, მერე!
— გამოვსწიე მთავი. სხვას... შენაც კარგად მიხვედრობნარ, ახლა რაკილა მარდები, არ გაგთქვამო... რძალი ხარ, ქალო, იმ შენ შვილებს გაფიცო.
— ვთქვი და გავათავე.

— თუ აგრეა გაიმძებ, შენთან ერთად გადამატარე საძოვარი.
— წამო! — იყო პასუხი.
პარმენა მოკლე ფეხის ცეხვით გაჰყვა უკან ქალს. თებრო წინ მიდიოდა. მძლავრად მიბიჯებდა. ჭყორის ჩხვლეტა ფოთლებს მხარ-ცხვით იგვირგებდა. პარმენა დროდადრო შეხედავდა მას. მერე თვალწინ დაუდგა მისი ჯაფით, შვილების მოვლით წალამივით გამხმარი, ნირმოშლილი ცოლი, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ თვალტანად თებროს არ ჩამოუფარდებოდა. თავისი უხიავობით, უფუფური სიამაყით კი სანთელივით ჩამოაღწია, მოსწრწვევით, მოსწრწვევით შეუღებელ ვაჟივით ჩამოახმო. ამის შეგნებამ ის უცეცხლოდ დაწვა. უწყურად დაანელა. ნატრობდა, — მიწა გაწყდეს, შიგ ჩამიტანოს, დამარხოსო.
შუალამისს მიადგენ ბინას. იოთამი წიფლის კარავში ნახადზე იწვა ისევ.
— აგერ ის, — მიუბრუნდა პარმენა თებროს — იცოდე, არ დაიფიქო, ვისაც მასზე ძვირი გული აქვს, ჩემი მტერიც არის.

— იოთამი... განა შენი ვინ არის, თავს რად სწირავ მისთვის?
— ამ კითხვებზე თებრო წინით შეჩერდა, მართლაც ვინ არის მისთვის იოთამი გოგატყვი? ქვეყნად გაჩენის ის აზრი, ის ვაუკაცი ხომ არა, რასაც პირველი, უხერხი ქმრისაგან მამაკაცზე გულაყროლი აქაქდე დაეძებდა? მერე მიიმედ ამოიხარა და კას ახედა. ხომლი და სასწორი საგანთადოსაკენ აწეულიყვნენ, კამკამბდნენ. ცაც ხელი მოავლო მკლავში, ჯოგის ამოსავლელ გზაზე გაი-ყვანა, იმ ადგილს დააყენა საიდანაც პარმენა გაზაფხულზე ცხენით დაეშვა საცხისაკენ და უთხრა:

— იოთამი ჩემი ძმა და ამხანავია, თავის დარჩენაში ქომაგი, ლხინში ბანი, ეს არის და ეს. ახლა გასწი შინისაკენ. როცა სოფელში შედიოდე, დაუჩოქე ჩვენ მარჩენალ საცხის მშობელ მიწას, პატიება სთხოვე, რომ მოძმის და თვის-ტომის ავი და ხელისმომცარვა გულში გავილე, თორემ ყოველთვის კი აღარ დაგფა-რავ. შემომაკვდე, ან შემოგაკვდე!
— რქა დამბრუნე! — შეხვეწა პარმენა.
— კიდევ რას მოინდომებ! — დასცინა თებრომ. — რქას საბუთად ვიტოვებ. თავჩიფებული გაუდგა გზას პარმენა. უკან აღარ მოუხედნია. თებრომ იქი-დან ისევ წიფელს მიაშურა. იოთამი ამდგარიყო, შეეკითხებულ, თავთავიან ბალახზე უხვად დადებულ ცივი ცვარით ხელებს ისევებდა, თვალზე ის-ვამდა, ძილს იფრთხობდა.


— ნეტავი დათვებმა შეგკამონ შენ წიფლის კარავში, — გამოელაპარაკა თებრო.

— „დილა მშვიდობისაო“ კი ვერ გაიმეტე, ჰა, — უსაყვედურა იოთამმა. — დათვი, ცეცხლიც რომ არ მენთოს ღამით, მაინც ვერ შემობედავს. თვითონ შენ გეწიოდეს მისი. წუხელის ბინაში არ იყავი, გოგობმა მიიხრეს, პანტარასაკენ მიდიოდაო, რა გინდოდა იქ?
— დათვი გავიფრინე.
— ტყავი სადღა გაქვს? შენ მარტო მის ვაფრენას არ დასჯერდებოდი.
— დამეხსენი, — იწყინა თებრომ, — იქნება, შენზე ნაკლებად არ მიყვარს მარტო ფეხი, ოცნება და ეგ არის ჩემი დათვი.
— ბარაქალა, რაზე ოცნებობ?
— მალე მთაში ბალახი მთლად მოილევა. ჯოგს საცხენში ჩავრეკავთ, ბავა-ზე დავაბამთ. თუნდაც ამაზე.
— მერე?
— კარგი კი იქნება თუ მომავალ გაზაფხულზე ახალმა გამომკვლავა კომი-სიამ გაიმეორა, გამოსახენი თავი არა გაქვსო.

— ეგ აღარ მოხდება!
— არ გშვენივს წიფლის კარვიდან ქალი. არ მოხდებაო, რას ქვია გასწი საცხენში, მომიშაღე ზამთარი, საქმეს მეც ვეყოფი წიფლის კარავზე.
თითქმის უბრძანა ქალმა იოთამს და სახეს და ყელ-ურზე მღელვარები-საგან მოვარდნილი სიცხე რომ ცეცხლად არ გადაქცეოდა, წიფლის ცვარინი, აბრეშუმით ნაწი ფოთლით შემოსილი ტოტი მოიწია, გაქნია, მისისურა მხურვალე სახეზე.
— ეჰ, აგრე იყოს. გავწევ, ირგვინა, წიფლის კარავი, ყველა შენთვის და-მითმა. ის ამომავალი მზეც შენთვის მიჩქენია.
იოთამმა ნახადს ხელი მოავლო, ბეჭზე მოიგდო. ნაღვლიანად ახედა დიდი მნათობის შესახვედრად მომზადებულ ცას და ჩალოლულ ვარსკვლავებს.
— ეჰ, რა ადვილად ლაპარაკობ, უშენოდ მე ეგ საჩუქარი რაღად მარგებს! ჩაილაპარაკა ქალმა ნაღვლიანად და საშინელი გულის წყვეტა იგრძნო. მერე თვალი შეავლო იოთამს, რომელიც კარვიდან შორს ისროდა მუგუზლებს, ცეცხლს აქრობდა.
— მამ მიდიხარ? — ხმის კანკალით შეეკითხა თებრო.
— მივდივარ!
— ახლავე? დაუნანებლად?
— დაუნანებლადაო, — რაღა?!
— გამოემშვიდობე მაინც!
უთხრა თებრომ და მისკენ გასწია. ხელი უშვა ტოტს, წიფლის ფეხებზე ცუდად დაეცემოდა, რომ იოთამს ხელი არ მიეშვლებინა და გულში არ ჩაეკრა.

შორს წითლად ამოდიოდა მზე. მისი პირველი სხი-ვები შესივდნენ წმინდა გულებში ნახადებ, აღზრდილ და წიფლის ქვალივით სპეტაკ, სურნელოვან სიყვარულს.
თენდებოდა წიფლის კარავზე.





ტირიფონის პრესის ამბები

ია მასხი

ტირიფონის ჰიდროელექტროსადგური ავტომატურ მართვაზე გადავიდა. ჰესის შენობა დაცარიელდა, კარები გამოკეტეს და ადამიანის ნაცვლად მანქანების მუშაობა ავტომატებს მიახდევს.

შეიძლება არც ღირდა ამაზე ლაპარაკი, რადგან საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოშიც, მრავალი მსხვილი ელექტროსადგური კარგამოკეტილია და მათ ხშირად ასეული კილომეტრის მანძილად მართავენ.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ტირიფონის ჰესი მსხვილი სადგური კი არაა, არამედ ერთი პატარა სოფლის ჰესია და ავტომატურ მართვაზე მის გადასაყვანად ახალი სქემების, ახალი მარტივი და იაფფასიანი მექანიზმების გამოგონება იყო საჭირო. ასეთ საქმეში

რადაც გამოცდილება ხომ მაინც უნდა ჰქონოდათ? ტირიფონის ჰესი კი პირველი ავტომატური სოფლის სადგურია მთელ საბჭოთა კავშირში. და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენს თვალწინდელ ქვეყანაში პატარა სადგურები დიდ სადგურებზე გაცილებით მეტი რაოდენობითაა, რომ სოფელში ავტომატიკის შეჭრა სოფლის საერთო კულტურის აღმავლობის უტყუარი მაჩვენებელია, მაშინ ტირიფონის არხზე მომხდარი ეს ამბავი, თამამად შეიძლება საკმაოდ დიდმნიშვნელოვან საქმედ ჩაითვალოს.

ტირიფონის ჰესი გარეგნულად განსაკუთრებით არაფრით გამოირჩევა. სადგური აგებულია არხზე. ჰიდროტექნიკურ ნაწილში გონივრულად გამოყენებულია წყლის ბუნებრივი ვარდნა. სადგური შეყვანილია რესპუბლიკურ ენერგოსისტემაში, რასაც მოწმობენ გორის ქვესადგურამდე ჩამწკრივებული მძლავრი ლითონის საყრდენები. თვით ჰესის შენობა, როგორც საქართველოს სოფლის მრავალი სხვა სადგური, არქიტექტურულად კარგადაა გაფორმებული.

თქვენ უახლოვდებით სადგურს და გესმით ტურბინების გუგუნე, რომელიც შენობის შიგნიდან მოდის, მაგრამ კარებს ბოქლოში ადევს. სადგურის მორიგე ამ დროს შინ გახლავთ.

— რატომ?
— ჰესის თანამშრომელთა საცხოვრებელ სახლში არის „ინჟინრის შინ სამორიგეო ოთახი“. მორიგე იქ არის. შედიხართ ამ ოთახში. მაგრამ იქაც არაინაა. მორიგე ინჟინერი ეზოშია და თავისი პირადი საქმეებით არის გართობი, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ელექტროსაქმესთან.

თავდაპირველად ასეთი სურათი თქვენს განუზომელ აღშოთებას იწვევს: ეს როგორ შეიძლება, რომ სამუშაო საათებში ერთადერთმა ადამიანმა, რომელიც პასუხს აგებს სადგურის მუშაობაზე, სადგურის, რომელიც ელექტროენერგიას აწვდის ქალაქს, ოცდათერთმეტ სოფელსა და ორ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს, ასე გულგრილად მოეკიდოს თავის მოვალეობას? მაგრამ „დანაშაულზე წასწრებული“ მორიგე ყოველივე ამას აინუნში არ აგდებს. იგი იღებს გასაღებს და მივიძღვებთ ჰესის შენობისკენ.

ეს გახლავთ სახლი, სადაც ადამიანი იშვიათად შედის. თვალმომჭრელად ბზინავს აქ მოკრიალბული იატაკი. მონაცრისფრო მარმარილოსთან შეხამებული ლინოლეუმის ვიწრო ხალიჩებია ყველგან დაგებული. ირგვლივ იდეალური სისუფთავეა.

სამანქანო დარბაზში ორი აგრევატი მუშაობს — ჩვეულებრივი ტურბინები და გენერატორები, რომ-

ლებიც შეიძლება ყველგან ნახოთ სოფლის ჰესებში. მხოლოდ სხვადასხვა კვანძებზე, ხან აქ, ხან იქ გამოიყოფა მანქანებზე წითლად და შავად შეღებილი მომცრო მექანიზმები. აი ესენია ის მექანიზმები, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მანქანების შეუფერხებელ მუშაობას. ვთქვათ, იმატა საკისარის ტემპერატურამ, ან იკლო წყლის დონემ ავზში — ავტომატები უმალ იძლევიან სინათლისა და ბგერითი სიგნალებს. მართვის ფარზე ინთება ფირფიტა წარწერით. იმავე წამს ფარის მეორე მხარეზე, სადაც პოთენციულია ავტომატიკისა და დაცვის პანელი, შესაფერი სიგნალი გამოაგდებს პატარა წითელ ბაირალს და ოთახში გაისმის სირენის მკვეთრი ბგერები.

მაგრამ მართვის ფართან ამ დროს მორიგე შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ სრულიად შემთხვევით. თუ მას საქმე არაფერი აქვს სადგურში, აქ რად უნდა იყოს? აი სწორედ ამაშია შინ მორიგეობის მთელი აზრი: ყველაფერი რაც ავტომატიკისა და დაცვის პანელზე ხდება, დაუსოვნებლოვ გადაიცემა მორიგე ინჟინრის ოთახში. აქ, მაგიდაზე, დგას სინათლის სიგნალი, რომელიც მორიგეს სადგურში იხმობს, აივანის ლავგარდანზე მიმაგრებულ მძლავრ სირენის გუგუნე კი ჰესის მთელს ტერიტორიაზე გაისმის.

აი, რატომაა, რომ მორიგე გულმშვიდად შეუძლია დასტოვოს ხოლმე სამორიგეო ოთახი. არცაა საჭირო, მთელი დღე გულხელდაკრეფილი იჯდეს ადამიანი სიგნალის მოლოდინში, რომელიც შეიძლება არც კი გაისმას. ეს არც საქმეს მოუტანს სარგებლობას და არც ადამიანს.


ახლა ვიკითხოთ, რა ხდება ავარციის შემთხვევაში, სანამ ადამიანი მიეშველებოდეს მანქანებს? ესეც გაუვალისწინებულია. ავარიის შემთხვევაში ავტომატები თვითონ, ადამიანის მოსვლამდე, აჩერებენ აგრევატს ან მთლიანად სადგურსაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკატორებმა, მეცნიერებმა და პრაქტიკულმა მომუშავეებმა ჩვენს რესპუბლიკაში პირველი ავტომატური სოფლის ჰესის შექმნით შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. ავტომატიზაციამ სადგურის მუშაობა ბევრად უფრო საიმელო გახადა და ავარიები გამორიცხა, ამავე დროს მრეწველობისათვის განათავსებულ და მუშახელიც. პროდუქციის თვითღირებულება კი ერთნახევარჯერ გაიადგა.

თუ გორის გზით მგზავრობა მოგიხდათ, ყურადღება მიაქციეთ სოფლის ახალ ჰესს სოფელ იკოეთთან. იქ ახლა ავტომატური მართვა ეწყობა. ასეთივე ამბავი ხდება ღმანისის ჰესზე. ახლო მომავალში კი ავტომატურ მართვაზე გადავა ჩვენი რესპუბლიკის ყველა სადგური.

ფოტოზე — შემოთ: ტირიფონის ჰესის საერთო ხედი. ქვემოთ: ჰესის მორიგე ინჟინერი ოჯახური საქმეებით არის გართული.

ფოტო 3. ჯეი რ ა ნ ო ვ ი ს ა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



მ. სარიანი. ქველი ერევანი

მ. სარიანი. შემოდგომის ნატურმორტი



მარტიროს სარიანი

მ. კარბლაშვილი



ქართული

საქართველოს მწერთა კავშირი

სომხეთის სახალხო მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის მარტიროს სარიანის ნაწარმოებების გამოვენამ თბილისის საზოგადოების ყურადღება დამსახურა. გამოვენა მოაწყო საქართველოს მხატვართა კავშირმა სომხეთის გამოჩენილი მხატვრის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად.

საიუბილეო გამოვენაზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოდგენილი იყო ნამუშევრები, რომლებიც წარმოადგენდნენ მხატვრის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდებს. ჩვენ აქ შესაძლებლობა გვქონდა, განგვეხილა ახალგაზრდა მხატვრის პირველი ცდები და ძიებანი, უკვე ჩამოყალიბებული ოსტატის სურათები და სულ ბოლო დროს შესრულებული ტილოები, რომლებიც მოწმობენ მსცოვანი მხატვრის დაუმრეტელ ენერჯიას გამოსახვის ახალ საშუალებათა ძიების დროს.

საიუბილეო გამოვენაზე თბილისში იყო მხატვრის ადრინდელი ნამუშევრები: „დედის პორტრეტი“ (1898 წ.), ჩილინგარიანის და ანა სარიანის პორტრეტები (1900 წ.), რომლებიც ცხადყოფენ, რომ სარიანმა სერიოზული სკოლა გაიარა რუსეთში, სადაც ის სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. მაგრამ მხატვრის ინდივიდუალური სახე მკლავდება მის შემდგომ ნამუშევრებში, რომლებშიც ის მოპყვება თავის ბუნებრივ მისწრაფებებს, არ უმორჩილებს თავის ფერმწერის ტემპერამენტს აკადემიურ კანონებს. დამოუკიდებლად მუშაობის პირველსავე წლებში მხატვრის ინტერესთა ცენტრში აღმოსავლეთი მოექცა. მხატვარმა რამდენჯერმე იმოგზაურა ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, იყო კონსტანტინოპოლში, ეგვიპტესა და ირანში.

აღმოსავლეთის ბუნების ასახვისას მხატვარს იტაცებდა ეფექტები, მიღებული მხურვალე მზით განათების დროს, როდესაც იზრდება საგნების ფერის ინტენსივობა. ადრინდელ, პირობითად შესრულებულ სურათებში იგი ეძებდა ფერთა ისეთ თანაფარდობას, რომელიც შესაძლებელს ხდიდა სრულად გადმოეცა აღმოსავლეთის უდაბნოებსა და ქალაქებში მიღებული შთაბეჭდილებანი.

მ. სარიანი. დედის პორტრეტი.



M. Sarian

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მარტიროს სარიანი დაუბრუნდა სამშობლოს და ჩაება სომხეთის სოციალისტური კულტურის შექმნის დიდ საქმეში. მართალია, სარიანი უკვე საკმაოდ ცნობილი მხატვარი იყო, როცა იგი ჩამოვიდა სომხეთში, მაგრამ მისი შემოქმედება საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბჭოურ ხანაში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მან მხატვარმა და მოქალაქემ — თავისი ძიებანი დაუკავშირა ახალი ეპოქის ამოცანების გადაწყვეტას.

მ. სარიანის, როგორც მხატვრის, დიპლომატიური ძალიან დიდია. ის მუშაობს ფერწერისა და გრაფიკის სხვადასხვა დარგებში: დაზგური ფერწერა, მონუმენტური ფერწერა, დაზგური გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია.

მაგრამ მხატვრის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი მაინც ფერწერას უკავია. პორტრეტი, ნატურმორტი, განსაკუთრებით კი — პეიზაჟი განსაზღვრავს ამ მხატვრის შემოქმედებით სახეს.

მ. სარიანი, უპირველესად ყოვლისა, ფერმწერია. ფერი, კონტრასტულ ფერთა ქლერადობა, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალება, გადამწყვეტია მის სურათებში. მაგრამ ფერთა თამამი შეხამება მისთვის თვითმიზნად არ არის ქცეული, იგი საშუალებაა, რომლითაც მხატვარი გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. კაშკაშა, სუფთა ფერები ასახავენ მისი მშობლიური სომხეთის პეიზაჟის სპეციფიკას, ხოლო ნატურმორტებში ქმნიან ოპტიმისტურ, ხალისიან განწყობილებას. მხატვარი ფერით გამოსახავს ადამიანის რთულ სულიერ სამყაროს და თავისებურ სიმანვილესა და გამომხატველობას ანიჭებს პორტრეტებს.

პორტრეტს სარიანის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს მკაფიოდ ჩანდა საიუბილეო გამოვენაზედაც.

ადრინდელი პერიოდის პორტრეტები მათი პირობითი, სიბრტყეობრივი გადაწყვეტით დეკორაციულ ხასიათს ატარებდა. აქ მხედველობაში გვაქვს ტემპერით შესრულებული პორტრეტები — გულნაზარიანისა (1910 წ.), ლევონიანისა (1912), ტერიანისა (1913), ცატურიანისა (1915), ჩარენცისა (1923). ლოკალური ფერები დადებულია ცალკეულ სიბრტყეებად, ფიგურები მოთავსებულია სრულიად ბრტყელ ფონზე, ხაზგასმულია ფერის კონტრასტების ეფექტები. მიუხედავად პირობითობისა, ზოგიერთ ამ პორტრეტს ახასიათებს ემოციურობა. ასეთია, მაგალითად, ჩარენცის პორტრეტი მეტად მეტყველი თვალბით.

ოცდაათიანი წლების შემდეგ მხატვარი თითქმის თავს ანებებს პირობით მანერას, მის ნამუშევრებში რჩება ენერჯიული ნახატი და ძლიერდება ემოციურობა. მხატვარი იჩენს ადამიანის ხასიათის, სპეციფიკური, ინდივიდუალური მხარეების შემჩნევისა და მკაფიოდ გამოვლენის დიდ უნარს. (ამ მხრივ საყურადღებოა თამანიანის (1931) და თორმოგიანის (1934) პორტრეტები). მხატვარი ფუნჯის გაბედული, ფართო მონასმებით გადმოცემს ძალასა და ტემპერამენტს, ფერწერულად ძერწავს ფორმას, უკიდურეს გამომხატველობამდე აყვავს გამოსახული ადამიანის ინდივიდუალური თვისებები.

სარიანის პორტრეტების კომპოზიცია მარტივია. — მაყურებლისკენ ფრონტალურად მიმართული, მშვიდად მჯდომარე ფიგურები. ხასიათის გამოვლინებისთვის მხატვარი არ ხმარობს კესტებს, იშვიათად მიმართავს დამატებით ატრიბუტებს. მაგრამ, თუ პორტრეტებში გვხვდება სხვა საგნები, ისინი ყოველთვის დამახასიათებელია და აზრობრივად ამდიდრებს პორტრეტს: ნახაზი არქიტექტორ ტამანიანის პორტრეტის ფონზე, პალიტრა ავტობორტრეტში და სხვ. ორმოციანი წლებიდან მხატვრის მანერა უფრო თავისუფალი ხდება, მონასმები ელასტიკური, რიტმული. მხატვარი ფიგურებისთვის ეძებს დამახასიათებელ გარემოს. ადრინდელი პორტრეტებისთვის დამახასიათებელი განყენებული ფონის ნაცვლად იძლევა პეიზაჟს, ინტერიერს, ხელს ფანჯრიდან, რაც პორტრეტს მატებს კონკრეტულობას. (გაიხსენოთ ლოზინსკის პორტრეტი (1944 წ.), პეიზაჟის ლურჯი ცის ფონზე განსაკუთრებით მკაფიოდ იძერწება ამ ადამიანის აზრიანი, მეტყველი სახე).

ამავე დროს მხატვარი განაგრძობს ფერის ეფექტების ძიებას. სარიანის ფერწერული ნიჭი მკაფიოდ ვლინდება ნატურმორტებში, რომლებიც მრავლად იყო წარმოდგენილი გამოვენაზე. სარიანის ნატურმორტისთვის დამახასიათებელია კაშკაშა ფერადოვნება და დეკორაციულობა. ტემპერით დაწერილ ადრინდელ ნატურმორტებში (1912-1913 წ.წ.) საგნები განლაგებულია მაყურებლისკენ დახრილ სიბრტყეზე, ზოგჯერ კი ხედვის წერტილი აღებულია ზემოდან. საგნები ლაგდება არა ერთი მგორეს უკან, რაც შექმნიდა გარკვეულ სიღრმეს, არამედ დაახლოებით ერთ მანძილზე მაყურებლის თვალბიდან. საგნების ამ გან-



მ. ს ა რ ი ა ნ ი. მოქანდაკე ნ. კანდელაკის პორტრეტი.

ლაგებაში სრულიად აშკარად ჩანს მხატვრის განზრახვა მოსპოს სიღრმე. ამავე დროს ის გაურბის საგნების მოცულობის ხაზგასმას. იქმნება პირობითი, დეკორაციული ნატურმორტი, რომელშიაც მთავარი მნიშვნელობა რიტმულად განლაგებულ ფერადოვან ლაქებს ენიჭება.

ოცდაათიანი წლების შემდეგ ზეით დაწერილ ნატურმორტების კომპოზიცია მკაფიოდ იცვლება, დამახასიათებელი ხდება საგნების განლაგება ვერტიკალურად, ერთი მეორის ზემოთ. მხატვარი ზოგჯერ ხილით საესე კალათებს და ვაზებს დგამს სადგარებზე, რომლებიც თანდათან მალდებიან, ისე რომ ხილისაგან და ყვავილებისაგან იქმნება ერთიანი ფერადოვანი კედელი. მხატვრის ფუნჯი მოდელირების დროს მიყვება ფორმას, თუმცა ამავე დროს ხაზგასმით არ გამოჰყოფს ცალკეულ მოცულობებს. გვიანდელ ნატურმორტებში საგნები უფრო მატერიალური ხდება, გადმოცემულია მათი ფაქტურა (მაგ., „ბროწეული და ყურძენი“ 1950 წ.), ამავე პერიოდის ზოგიერთი ნატურმორტი მონუმენტურია, რაც შესრულების განზოგადებული მანერით აიხსნება. მხატვარი არ აწვრილმანებს ფორმას, ცალკეული ფერადოვანი ლაქების ინტენსივობასთან ერთად, შენარჩუნებულია ფერების ჰარმონიული კლერადობა.

მარტივოს სარიანის ძიებების მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ მხატვრის პეიზაჟებში. თავის მრავალრიცხოვან სურათებში მხატვარმა ასახა სომხეთის ბუნების თავისებური სილამაზე, გადმოგვცა ამ ბუნების ხასიათი. ისე როგორც შეუძლია მისი დანახვა და გაგება მხოლოდ იმას, ვინც ხანგრძლივად, დიდი სიყვარულით უკვირდება მშობლიურ მხარეს და ხედავს მასში არსებობის, დამახასიათებელს. ისევე, როგორც იმერეთის ამწვანებულ მთებში მოგზაურობის დროს შეუძლებელია არ გაგახსენდეს დავით კაკაბაძის პეიზაჟები, სომხეთში მოგზაურობის დროს მნახველს თან სდევს სარიანის სურათები და უცხო მიუჩვეველი თვალის კი იძულებულია რომელიმე შიშველი მოწითალო კლდისა და კაშკაშა ლურჯი ცის შეხამებაში დაინახოს ის სილამაზე, რომელიც მხატვარმა თავის ტილოებზე გადაიტანა.

მხატვარი გვიჩვენებს სომხურ პეიზაჟის მრავალმხრივ ასპექტებს. თავის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპებზე პოულობს ახალ და ახალ მიდგომასა და გადაწყვეტას, მაგრამ ყოველთვის რჩება მისთვის ჩვეული ფერთა ინტენსივობა და ქლე-

რადობა, — თვისება, რომელიც ჩნდება ჯერ სულ ადრინდელ ნამუშევრებში, ერთგვარად სახეს იცვლის, მაგრამ შენარჩუნებულია ბოლო დრომდე. ოცდაათიანი წლებიდან პეიზაჟებში, ისევე, როგორც პორტრეტში, ჩანს მხატვრული მიდგომის გამოცვლა. მხატვარს იზიდავს პლუნერის, შუქ-ჩრდილის, სივრცის გადმოცემა. ამ წლებში დიდი ადგილი ეთმობა უშუალოდ ნატურიდან წარსს ჩამოყალიბდა კარგველი თემატიკა პეიზაჟისთვის. თუ ახალგაზრდა მხატვარს ეტყობა ადამიანის სავლეთი საერთოდ, ახლა მის ყურადღებას მთლიანად იპყრობს სომხეთის პეიზაჟი. არა სინთეზური, განზოგადებული შთაბეჭდილება აღმოსავლეთის ბუნებისაგან საერთოდ, არამედ კონკრეტული ადგილები. აქ ვხედავთ ძველი ერევნის ვიწრო ქუჩებს მიწური სახლებით და ბანიანი სახურავებით, პატარა ეზოებს, არარატის შორეულ ხედებს. ველებს, ეზოებს, ქუჩებს, აცოცხლებენ ადამიანები, რომლებიც გართულნი არიან თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით. რამდენიმე შტრიხი: დაწერილ მოძრაგ ფიგურებს შეაქვთ ინტიმურობა, თითქოს აქცევენ ამ პატარა სურათებს ცხოვრებიდან ამოღებულ კადრებად („ძველი ერევანი“, „გაზაფხულის დღე“). ახალ მიდგომას თან სდევს ახალი მხატვრული მანერაც. მთლიანი ინტენსიური ლაქების ნაცვლად ჩნდება ტონები და ნახევარტონები, რაც აძლევს მას მეტ საშუალებას, გადმოსცეს სიღრმე და სივრცე. მხატვარი გატაცებით ასახავს მშობლიური მხარის წელიწადის სხვადასხვა დროს, რელიეფის ხასიათს („აპარანი“ 1935 წ., „ზანგუს ნაპირები“ 1930 წ., „გორისის გამოქვაბულები“ 1935 წ. და სხვ.).

ბოლო დროს სარიანი ქმნის მრავალრიცხოვან პეიზაჟებს. ნატურიდან დაწერილი პატარა ეტიუდები ადვილს უთმობს მონუმენტურ პეიზაჟებს. მის ტილოებზე წარმოგვიდგება ხეობები და ველები, ცის ლაქვარდზე გამოკვეთილი არარატის სილუეტით („არარატის ველი“, „არარატი“, „არარატი დღინიდან“, „მთის ფერდობები“ და სხვ.).


მ. სარიანის გამოფენა გვიჩვენებს რაოდენ რთული და ამავე დროს ორგანული იყო მხატვრის შემოქმედებითი ევოლუცია. ის ინარჩუნებს სამყაროს მხატვრული აღქმის თავისებურებას, რაც მას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას ახასიათებდა, ამავე დროს მშობლიური ქვეყნის მოწინავე ადამიანებისა და ბუნების ფაქტურად შეგრძნებით და რეალისტური ასახვით იგი მალდდება ნამდვილად ნაციონალური საბჭოთა ოსტატის დონემდე.

მ. ს ა რ ი ა ნ ი. ქართველი ქალი.





ეროვნული
ბიბლიოთეკა



მ. სარიანი

აკადემიკოს ი. ორბელის პორტრეტი

აღამ მიცკევიჩი

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)



მ. მიცკევიჩი

ნიმდინარე წელს მთელი მსოფლიოს ხალხები აღნიშნავენ დიდი პოლონელი პოეტის აღამ მიცკევიჩის გარდაცვალებას ასი წლისთავს. პოეტის რთული შემოქმედებით გზა გაუხუფდელია პოლონელი ხალხის ცხოვრებისაგან. მიცკევიჩის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის, ერთა შორის მეგობრობის მაღალი იდეალებით.

აღამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შთაგონება სამშობლოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა. მიცკევიჩმა გააძლიერა აკადემიური კლასიციზმის ჩარჩოები და უარყო მანამდე დამკვიდრებული პოეტური ნორმები. მიცკევიჩის პოეტურ ენას ასაზრდოებდა მდიდარი სლავური ხალხური პოეზია.

პოეტი ხალხურ სიმღერას პოეზიის შემდგომი განვითარების საფუძვლად თვლიდა.

პოლონელი პოეტის შემოქმედებით აღმავლობაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსულმა მოწინავე ლიტერატურამ. 1824 წელს პოლონეთის საიდუმლო პატრიოტულ ორგანიზაციებთან — ფილომატებისა და ფილარეტების წრეებთან — კავშირისათვის მიცკევიჩი მეფის რუსეთის მთავრობამ ექვსი თვით დააპატიმრა და შემდეგ პოლონეთიდან რუსეთში გადასახლდა.

სამშობლოდან დევნილი პოეტი, ცარიზმის დაუძინებელი მტერი, პეტერბურგში ჩასვლისთანავე უახლოვდება რუსული ლიტერატურისა და დემოკრატიული მოძრაობის მესვეურებს, მათ შორის მომავალ პოეტ-დეკაბრისტებს — რილევესა და ზესტუჟევს, რომლებთანაც აკავშირებს არა მხოლოდ წმინდა ლიტერატურული, არამედ საერთო პოლიტიკური ინტერესებიც.

1825 წელს მიცკევიჩი მიემგზავრება ოდესაში, მოგზაურობს ყირიმში. ჩადის მოსკოვში გენერალ-ლეიტენანტის კანცლარიაში სამუშაოდ. ამ დროს მიცკევიჩი ამომედ განიცდის დეკაბრისტების ხედვებს, აღმოფთვებულია ნიკოლოზ I ჯალათური ზომებით დეკაბრისტების მიმართ.

მოსკოვში მიცკევიჩი რუსული ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში ხვდება. ეცნობა რუსული კულტურის საუკეთესო მოღვაწეებს: ბარატინსკის, ვენევიტინოვს, ვიზემსკის, სობოლევსკის, შვიგინსს, ძმებ კირეევსკებს, პოგოდინსს. 1826 წლის ოქტომბერში ერთმანეთს ხვდება ორი დიდი პოეტი — პუშკინი და მიცკევიჩი. 24 ოქტომბერს პუშკინი მეგობრებს უკითხავს თავის ახალ ქმნილებას „ბორის გოლოვოვს“ პოეტ ვენევიტინოვის სახლში, სადაც მიცკევიჩიც არის მოწვეული. პუშკინი და მიცკევიჩი ხშირად ნახულობენ ერთმანეთს, ხან ზინაიდა ვოლკონსკაიას სალონში, ხან სობოლევსკის, ხან პოგოდინის ბინაზე.

1827 წელს მცირე ხნით მიცკევიჩი მიემგზავრება პეტერბურგს, სადაც ეცნობა ქუკოვსკის, კრილოვის, გრიბოედოვის, ვანსაკუთრებით უახლოვდება პოეტ დელივიგს. პეტერბურგში კიდევ უფრო მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა პუშკინისა და მიცკევიჩის შორის. პუშკინი აღტაცებულია პოლონელი პოეტის ტალანტით. შემდგომში პუშკინმა რუსული მხატვრული ლიტერატურა გაამდიდრა მიცკევიჩის ლირიკული ლექსების შესანიშნავი თარგმანებით.

მიცკევიჩი მუდამ დიდი თავგანსიციანობითა და ძმური სიყვარულით იხსენიებს რუსეთის გენიალურ პოეტს. ლექსში „პეტრე დიდის ქანდაკება“ პუშკინს უწოდებს თავისუფლების მისიანს, რომელიც ჩრდილოეთს აღვიძებს მგზნებარე ხმით. „სლავური ლიტერატურის კურსში“ იგი პუშკინს თანამედროვე რუსული პოეზიის მწვერვალად აცხადებს. პუშკინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ფრანგულ ჟურნალ „გლობში“ გამოქვეყნდა ნეკროლოგი, რომელსაც ავტორის ვეპარის ნაცვლად ბოლოში მიწერილი აქვს „პუშკინის მეგობარი“. წერილი მიცკევიჩის კალამს ეკუთვნის.

„ტყვიამ, რომელმაც განგმირა პუშკინი, ინტელექტუალურ რუსეთს საშინელი თავზარი დასცა“, — წერს პოლონელი პოეტი ნეკროლოგში.

რუსეთში ყოფნის პერიოდში მიცკევიჩი ქმნის „ყირიმის“ და „სატრფიალო“ სინეტიკის, „ფარისის“, პოემა „კონრად ვალენროდს“, ლირიკულ ლექსებს. „ყირიმის სინეტიკაში“ პოეტი ნამდვილ მხატვრულ სრულყოფას აღწევს. ყირიმის ბუნების მონუმენტურ სურათებს პოეტი ოსტატურად უკავშირებს მშობლიურ ქვეყანაზე მტკივნეულ მოგონებებს.

მიცკევიჩის სონეტები გამოქვეყნებისთანავე რუსულ ენაზე ითარგმნა და რუსეთის საზოგადოებისაგან მაღალი შეფასება მიიღო. ვიზემსკიმ სპეციალური წერილი მიუძღვნა სონეტების ავტორს.

პოემას „კონრად ვალენროდი“ (1828) პირველად რუსული კრიტიკა გამოეხმაურა და მიცკევიჩი თანამედროვე პოლონური ლიტერატურის უდიდეს მწვერლად აღიარა.

სამშობლოდან მოწყვეტილი პოლონელი პოეტის დებრესიული განწყობილება რუსული კულტურისა და მეგობრების ზეგავლენით თანდათანობით იცვლება რწმენით მომავლისადმი, ბრძოლის ენთუზიაზმით. მიცკევიჩს უკვე იზიდავს კონრადის მსგავსი მედგარი, მიზანდასახული გმირული სახეები. ლექსში „ფარისი“ პოეტი ხოტბას უმღერის ადამიანის ნებისყოფას, რომელიც სტიქიურ ძალასაც კი იმორჩილებს, მაღალი მიზნების მისაღწევად.

მიცკევიჩი მოგზაურობს ევროპაში. 1830 წელს იტალიაში გებულობს პოლონეთის აჯანყების შესახებ. სამშობლოში ჩადის იმ დროს, როცა აჯანყება კრახით

მთავრდება. 1832 წელს მიცკევიჩი კვლავ ტოვებს პოლონეთის საზღვრებს, ამჯერად სამუდამოდ.

პოლონეთის აჯანყების შემდეგ შექმნილი მიცკევიჩის ნაწარმოებები თავისთავად მტკიცებდნენ, თუ როგორ მწვევედ განიცდიდა პოეტი სამშობლოს დამარცხებას.

„ღზიადების“ III ნაწილში (მიცკევიჩმა იგი დაწერა II და IV ნაწილების გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ 1832 წელს) ერთმანეთს უპირისპირებიან სიკეთე და ბოროტება, პროგრესული და რეაქციული ძალები, პოლონელი პატრიოტები და მეფის რუსეთის სატრაპები. დასურათებულია ისტორიული სინამდვილე: ფილარეტების დაპატიმრება, სენატორ ნოვოსილცევის რეპრესიები. ხალხის აწიოკება, პოლონელი დევლების გოდება, ბავშვების ქვებზე, რუსი რევოლუციონერების მეგობრობა ფილარეტებთან, პოლონელ ხალხთან. საკუთარ თავს ავტორი ანასხიერებს კონრადში, რომლის ტანჯვაც მილიონობით მასების ტანჯვაც და მტერზე შურისძიების ცეცხლით ანთებული იგი მზად არის ღმერთიც დატყვევოს, თუ ბრძოლაში არ მიეცემა.

ლექსების ციკლში რუსეთზე პოეტი თანაუგრძნობს მეფის მთავრობის უღელქვემ მგმინავ რუს ხალხს. ცნობილი ლექსით „მეგობრებს რუსეთში“, მიცკევიჩი კიდევ ერთხელ ნათლყოფს მოწინავე რუსი ადამიანებისა და პოლონელი ხალხის ერთსულოვნებას, სიძულვილს ცარიზმის მიმართ.

მიცკევიჩის ჯანსაღი პატრიოტიზმისათვის უცხოა შოვინიზმი. უკვდავ ეპოპეაში „პანი თადეუში“ (1834) მიცკევიჩი აცოცხლებს შლიახტური პოლონეთის გარდასულ დღეებს. პოემაში თადეუშისა და ზოსის ნაზი სიყვარულის ისტორია იშლება შლიახტების ყოველდღიური ცხოვრების ფონზე. ჰუმორით პოემას სისხარტეს მატებს. პოეტი რეალისტურ კოლორიტულ ფერებში ხატავს შლიახტების ავსა და კარგავს; ერთმანეთში უსაფუძვლო კინკლაობას, ყოყორებას, ნადირობას და ნადიმებში უღარდელად დროსტარებას. პოემაში ჩანს, რომ შლიახტების ერა სრულდება და პოლონეთის მომავალი მხოლოდ ახალი ადამიანები შექმნიან. რუსი ხალხისადმი ავტორის სიმშაბიები გადმოცემულია რუსი ოფიცრის ნიკიტა რიკოვის მიმზიდველი სახით. პოემას ამდიდრებს ლიტვის ბუნების თვალწარმტაც სურათები გამთბარი პოეტის სველითა და სიყვარულით მშობლიური მიწისადმი.

აღამ მიცკევიჩი იყო შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1839-40 წლებში პარიზში წაიკითხულ „სლავური ლიტერატურის კურსში“ მიცკევიჩი სლავურ ლიტერატურას აშუქებს ხალხთა ისტორიული განვითარების საფუძველზე, აღნიშნავს სლავური კულტურის მსოფლიო მნიშვნელობას. მიცკევიჩის ლექსებს ისმენდნენ ქორე სანდი, შოპენი, მიშლე, მონტალამბერი, სენ-ბევი. ალექსანდრე ტურგენევი მათ ჩანაწერებს ვიზემსკის უგზავნიდა რუსეთში.

1848 წლის რევოლუციის დროს მიცკევიჩი იტალიაში აყალიბებს პოლონელთა ლეგონებს ავსტრიის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1849 წელს პარიზში მიცკევიჩმა დააარსა ფრანგული გაზეთი „ხალხთა ტრიბუნა“, რომლის ფურცლებზე ამხელდა არსებულ სოციალურ უსამართლობას და მოითხოვდა საზოგადოების გარდაქმნას, ლუი ბონაპარტის მთავრობამ ეს გაზეთი აკრძალა.

1855 წელს მიცკევიჩი კონსტანტინოპოლში ჩადის პოლონელთა ლეგიონების შესაკმენლად რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობისათვის. 1855 წლის 26 ნოემბერს კონსტანტინოპოლში მიცკევიჩი ხოლერით გარდაიცვალა. პოეტის ნეშტი სამშობლოში, ქალაქ კრაკოვში, გადაასვენეს 1890 წელს.

პოეტის სიცოცხლეშივე მიცკევიჩის ნაწარმოებები ითარგმნებოდა სხვადასხვა ენებზე. საქართველოში მიცკევიჩის შემოქმედების პოპულარიზაციას და თარგმანას საფუძველი ჩაეყარა ვასილი საუკუნის 30-იან წლებში. მიცკევიჩის პირველი მთარგმნელები ქართულ ენაზე იყვნენ 1832 წლის შექმულების მონაწილენი — სოლომონ რაზმაძე და გიორგი ერისთავი.

აღამ მიცკევიჩის სახელი დღეს დემოკრატიული პოლონეთისა და საბჭოთა ხალხების, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების ძმობისა და ერთობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ც. თოფურიაძე

აღამ მიცკევიჩი ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ს ო ნ ე ტ ე ბ ი დ ა ნ

<p>ნაშანი სარმი</p> <p>ბოი, ნემანო, მშობლიური ჩემო მდინარეც, აწ ხაით ვლიან ის ზვირთები, როცა მე ბალდი მათ მდინარებას ბოხოქარი ოცნების ტალით თან მივყვებოდი ან სევდიან დღეთ უწარბეს.</p> <p>მიჯნური ჩემი ჰვალს ციმციმას პირმოცინარი და ყვავილებით თავშემკული უშწერდა მაღლით, ვიყავი შლეგი და რამდენჯერ ოცნებით დალილს ცრემლებით სახე გადმიშლია წყალზე მხინარი.</p> <p>აწ ხაით ვლიან ო, ნემანო, წყალნი მშფოთარნი, ან ის ბალდობა, უფიწყარი მზით შემომდგარი, გულზე რომ მფენდა იმედების ვარდებს მშვენეირს.</p> <p>ხად გადიარა სიჭაბუკის მხურვალე აღთქმა, ან თქვენ სადა ხართ, მეგობარნი, შენც ხულო, ხად ხარ. წაგშლიათ კვალნი—მხოლოდ ცრემლი მე დამშთენია.</p>	<p>მომონება</p> <p>ძვირფასო ჩემო, გახსოვს გული შენი მხმობელი ან იგი უაში, შემოხალი უნაზეს ბინდნი, როცა ვხვდებოდი ჩვენ ერთმანეთს ხალისით, რიდიო და არ გვახსოვდა ეგ მდრტვიანო წუთისოფელი.</p> <p>გახსოვს ფარდული, უსურვავით ჩრდილის მომფენი, ჩვენი რუსხმულის ანკარა და მჩქეფარე ზვირთი, მათ სიახლოვეს ო, რაოდენ სიამეს ვმკიდიო ღამის ლანდებით შებურველი ჩუმი სწორფერი.</p> <p>მაშინ მოვფარე ცის თავანზე უხმოდ მავალი გათოვდა ნათელს და მხიბლავდა მშვენედა შენი დვთაებრივი და ღამევაით სხივუაშარი.</p> <p>ამ დროს მიჯნურთა გულს ერღვევა კაცური ბქენი, თვალი თვალის და გული რჩება გულის აშარი. ცრემლი ცრემლს ერთვის, ბავეს ბავე იზიდავს ფშვენით.</p>	<p>... ისარმი</p> <p>თვალბში მიმწერ და ამ თვალთა ბნელი იგავი, შენ ვერც კი ამჩნევ, როგორ ვიჭრობს გულის მნათობებს. ვინდერ უკუნი შემოხილბარ, წაი, დამტოვე, ციანდებურად უმანკო და წმინდა იყავი.</p> <p>მე განვიძარცვე მარტოობის ქარით, გრივალით, და მწუნარების ავდრიანმა წლებმა დამთოვეს, შენ კი ასეთი სიყვარულით რად მოგანდომეს დღეებმა ჩემთან სიახლოვედ და მარტოვად.</p> <p>შენ ახლა მშვიდი და ბალდური ფიქრით მშვენედი, გული ხალისის უნაპირო ზღვით რომ აივსე. მე კი სამარტს მივბარე ყრუ იმედები.</p> <p>ჟამიც — ზღვასაით ბოხოქარი და სიახლესე. სურო ხარ შენა, მოხევა მწვენე ალვისხესე, ჩრდილმა მოპბუროს სამარტა მძიმე სვეტები.</p>
---	---	---

თარგმნა თ. ჩხენკელმა

ლოცვისანი შიღვი

ლ. პისურაძე

1905 წლის 15 ნოემბერს შავი ზღვის ფლოტის პირველი რანგის კრეისერ „ოჩაკოვსკი“ აფრიალდა წითელი ალამი და მას მოჰყვა სივანალი: „ფლოტს ვსარდლომ მე. შიღვი“. ათამდე გემმა აღმართა საპასუხო სივანალი: „კარგად ვხედავ“. ეს იმის ნიშნავდა, რომ ეს გემებიც, რომლებზეც 6 ათასზე მეტი მატროსი იყო, აჯანყებულ „ოჩაკოვსკი“ შეუერთდნენ.

რამ გამოიწვია ეს აჯანყება და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი ლიტენანტი შიღვი?

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის დროს სევასტოპოლში სწორად იმართებოდა რევოლუციური მუშებისა და მატროსების კრებები 18 ოქტომბრის, მანიფესტის გამოცხადების დღეს, ერთ-ერთი ასეთი მითინგის დროს, ხალხი საპროტესტო ლეგსაკენ გაემართა და მოითხოვა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება. დემონსტრანტთა შორის იყო ლიტენანტი პეტრე პეტრეს-ძე შიღვიც, რომელმაც მოლაპარაკება დაიწყო ციხის აღმინისტრაციასთან. მაგრამ სწორედ ამ დროს დემონსტრანტებს ალყა შემოარტყეს ჯარებმა და ბევრი მათგანი დაზარალებული. მეფის ხელისუფლების ამ მხედველობამ მოქმედებამ სევასტოპოლის მუშებისა და მატროსების შრისხანდ აღშფოთება გამოიწვია. იმავე დღეს სანაპირო ბულვარში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მითინგი, რომელმაც აირჩია სახალხო დეპუტატების საბჭო 40 კაცის შემადგენლობით. მასში არჩეულ იქნა ლიტენანტი შიღვიც.

დადუბულთა დაკრძალვა მძლავრ სახალხო დემონსტრაციად გადაიქცა. ძმთა სასაფლაოზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ლიტენანტმა შიღვმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დემონსტრანტებზე.

იმავე საღამოს შიღვი ფლოტის შტაბში მიიტყუეს და დააპატიმრეს.

აღშფოთებული მატროსების, ჯარისკაცებისა და მუშათა პროტესტების გავლენით სარდლობა იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა შიღვიც. ამ დროიდან შიღვის სახელი ცნობილი გახდა არა მარტო შავი ზღვის ფლოტში, არამედ მთელს რუსეთში.

ლიტენანტი პეტრე პეტრეს-ძე შიღვიც დაიბადა 1867 წელს ოდესაში, კონტრ-ადმირალის ოჯახში. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ მისი მამა ქალაქის უფროსი იყო ბერდიანსკში, აზოვის პირად. აქ გაატარა თავისი ბავშვობა და ყრობა 3. შიღვმა ცხრაშვიტის წლის ასაკში მან დაამთავრა პეტერბურგის საზღვაო კორპუსი და მიჩმანის წოდება მიიღო. იგი ხარბად ეწაფებოდა წიგნებს, დღენიადავ კითხულობდა და ვითარდებოდა.

სამხედრო-საზღვაო სამსახურის პირველი წლები შიღვმა პეტერბურგში გაატარა, მაგრამ ვერ შეურიგდა სამხედრო ფლოტში შექმნილ აუტანელ პირობებს, გონებაჩაღვნილი ოფიცრების თვითნებობას და გადავიდა სავაჭრო ფლოტში, სადაც დანიშნულ იქნა ერთ-ერთი გემის კაპიტანად. 10 წლის მანძილზე იგი ოკეანეებში ეწეოდა ნაოსნობას. ყოველ წელიწადს მას მხოლოდ 60 დღე უხდებოდა ნავსადგურებში ყოფნა, დანარჩენ დროს კი ღია ზღვებში ატარებდა. ამის გამო იგი დიდხანს მოწყვეტილი იყო ოსუბის ცხოვრებას და პოლიტიკურ ვითარებას.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისას შიღვიც კვლავ გაიწვიეს მოქმედ სამხედრო-საზღვაო სამსახურში და დანიშნეს უფროს ოფიცრად ბალტიის ფლოტის ერთ-ერთი სატრანსპორტო გემზე ლიბავაში. ამ გემს მონაწილეობა უნდა მიეღო ბალტიის ფლოტის შორეულ აღმოსავლეთის ლაშქრობაში აღმართულ რუსულ ფლოტის სარდლობით. მაგრამ თირაკმლების მწვავე ავადმყოფობის გამო შიღვიც დროებით დაითხოვეს სამხედრო-საზღვაო სამსახურიდან. 1905 წლის გაზაფხულზე იგი კვლავ უბრუნდება სამხედრო ფლოტს და ინიშნება შავი ზღვის ფლოტში ჯავშნოსან № 253-ის მეთაურად.

შიღვიც არ ეკუთვნოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას და მას არ ჰქონდა საკმაოდ გარკვეული პოლიტიკური შეხედულებები, არ ჰქონდა იმის ნათელი შეგნება, რომ აუცილებლად საჭირო იყო მეფის მთავრობის დაშლა. მაგრამ იგი იყო გაბედული, მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის თავდადებული ადამიანი, ქეშპირიტი დემოკრატი.

რევოლუციურმა მდგომარეობამ მთელი ესკალრა მოიცვა. 12 ნოემბერს, როცა შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი ჩუხნინი გემების დათვალეობის დროს მატროსებს მიესალმა, მას არავინ არ უპასუხა.

გემზე, რომელსაც ეწოდებოდა „პანტელეიმონი“ (ის იყო ცნობილი რევოლუციური გემი „პოტომკინი“, რომელსაც შემდეგ სახელი შეუცვალეს), იმავე ადმირალმა მატროსებს მოუწოდა მეფისა და სარწმუნოების დაცვისაკენ. ამის საპასუხოდ მატროსმა სიროტინკომ წამოიძახა: „ძირს ურჩხულები, სიკვდილი მათ“. ადმირალი დაიბნა და დიდხანს არ იცოდა რა ექნა. მერე გონს მოვიდა და ვაცა ბრძანება სიროტინკოს დაპატიმრების შესახებ. მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა ადმირალის ბრძანების შესასრულებლად.

მატროსებსა და ჯარისკაცებს შორის ფართოდ ვრცელდებოდა არაღიგაბული ლიტერატურა და პროკლამაციები, იყო შემთხვევა, როცა ორმა მატროსმა პროკლამაცია გემზე ჩაუღო... თვით ჩუხნინს.

რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაგან გამოირჩეოდნენ მატროსები: ჩასტნიცი, ანტონენკო, გლადკოვი, დოკუნინი, ჩურაევი და სხვ., განსაკუთრებით გააძლიერეს მუშაობა ჯავშნოსან „ოჩაკოვზე“. მატროსების რევოლუციურ განწყობილებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ გემზე იმყოფებოდა საპასუხე პეტერბურგელი და სორმოვლი მუშა, რომლებიც გემის მშენებლობაზე დასამთავრებელ მუშაობას ეწეოდნენ. მათ სისტემატური პროპაგანდა გააჩაღეს მატროსებისა და მუშების შეერთებულად გამოსვლისათვის. ამრიგად, ჯავშნოსანი „ოჩაკოვი“ აჯანყების შტაბი გახდა.

რევოლუციური მატროსები ცდილობდნენ აჯანყება მოეწყოთ ბრეტისა და ბელოცისკის ფესვსან ლეგიონებთან ერთად, რომლებიც სევასტოპოლში იყვნენ განლაგებული. 12 დეკემბერს მოწყობილი დიდი მითინგის შემდეგ მატროსების, მუშებისა და ჯარისკაცების მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გაიმართა ამ ლეგიონების ყაზარმებისაკენ. მსვლელობის დროს დაპატიმრებული იქნენ სევასტოპოლის ციხე-სმაგარის კომენდანტი გენერალი ნებლიუვი და მე-13 ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალი სედელნიკოვი, რომლებიც ცდილობდნენ ტყვეამფრქვევებით სროლა აეტენათ დემონსტრანტებისათვის.

მაგრამ მატროსებთან ერთად შემოსხენებული ლეგიონების ჯარისკაცთა ამბოხება არ მოხდა, ვინაიდან სარდლობამ მოხერხებული მანქანებითა და პროფკაციებით შეძლო სევასტოპოლიდან მათი გაყვანა.

13 ნოემბერს ფლოტის ყაზარმის ენოში გაიმართა მატროსების მრავალრიცხოვანი მითინგი, სადაც გადაწყდა აჯანყების დაწყება. მატროსებმა თხოვეს ლიტენანტ შიღვს, რომ მას გაეწია აჯანყებისათვის ხელმძღვანელობა. მატროსთა დეპუტატების თათბირზე შიღვმა ექვი გამოთქვა აჯანყების წარმატებაში. იგი აჯანყებულებს არწმუნებდა, რომ შეეწყობათ დაწყებული მოძრაობა, ვინაიდან მასები მზად არ არიან აჯანყებისათვის. მაგრამ როცა დეპუტატებმა შიღვს განუცხადეს, შექმნილ ვითარებაში ყოვლად შეუძლებელია უკან დაეკირო, იგი მტკიცედ დათანხმდა წინადადებაზე და იცხარა აჯანყების ხელმძღვანელობა.

14 ნოემბერს შიღვიც ავიდა ჯავშნოსან „ოჩაკოვზე“ და იქ შეუდგა რევოლუციური ფლოტის სარდლობას.

მისი გეგმა ასეთი იყო: აჯანყებულებს ჯერ ხელში უნდა ჩავიდოთ შავი ზღვის სამხედრო ფლოტი და სევასტოპოლში შეექმნათ რევოლუციური მთავრობა. თუ ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდებოდა, მაშინ რევოლუციურ გემებს ლაშქრობა უნდა დაეწყათ ოდესისაკენ, მეფის მთავრობის წინააღმდეგ აემხედრებინათ იქაური გარნიზონი, შემდეგ აეღოთ ფლოდისა და ქერჩის, ნახევარული რუსეთისაგან მოწყვეტათ ყირიმის ნახევარკუნძული და როცა იქ გამაგრდებოდნენ, მთელი რუსეთის ხალხის სახელით ეკარნახებინათ თავიანთი მოთხოვნები მეფის მთავრობისათვის.

შიღვმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა მეფეს ასეთი დეპეშა: „სახელგვანი შავი ზღვის ფლოტი, რომელიც წმიდად იცავს თავისი ხალხსადმი ერთგულებას, მოითხოვს თქვენგან, ხელმწიფე, დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწყვეტას და უარს აცხადებს თქვენი მინისტრებისადმი დამორჩილებაზე. ფლოტის სარდალი მოქ. შიღვიც“.

თვითონ შიღვიც ასე ამართლებდა თავის საქციელს: რასაკვირველია, ამ დეპეშას არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა, უკეთეს შემთხვევაში მას შეეძლო პანიკის გამოწვევა. აჯანყების დროს სულ სხვა ხასიათის ფაქტორები მოქმედებენ.

მაგრამ თუ ჩვენ დავიღუპებით, მოძრაობას ვაძლევთ აზრსა და მნიშვნელობას. ჩემი დეპეშა მთელს რუსეთში ისეთი პროკლამაციის გავრცელება, რომლის მსგავსს ვერც ერთი ვერი ვერ დაწერს... 15 ნოემბერს შიღვიცა დაიწყო „სვირე პით“ შემოიარა ყველა სამხედრო გემში. ქრველი გემის გუნდს შიღვიც სმამალი ძაბილით მოუწოდებდა აჯანყებულებთან შეერთებისაკენ. ამის საპასუხოდ ბევრ გემზე მატროსებმა წითელი დროშა ააფრიალეს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ აჯანყებულ გემებზე საბრძოლო იარაღი არ მოქმედებდა. ჯავშნოსან „პოტომკინზე“ მომხდარი აჯანყების გამო მიღებული მწარე გაკვეთილის შედეგად, ფლოტის სარდლობამ წინასწარ გამოიყვანა მყოფიდან ქვემეხები იმ გემებზე, სადაც მატროსთა რევოლუციური მოძრაობა ფართოდ ვრცელდებოდა. მატროსების სიფხიზლის მეოხებით მატროს ჯავშნოსანი „ოჩაკოვი“ არ იყო განიარაღებული.

მეფის მთავრობამ სევასტოპოლის მატროსთა აჯანყების ჩასაქრობად ჯარი გამოიწვია სიმფეროპოლიდან, ფეოდოსიიდან, ოდესიდან, პავლოვარადიდან, კიშინიოვოდან. დამსჯელი ჯარების სარდლად დანიშნულ იქნა მე-7 საარმიო კორპუსის მეთაური მელერ-ვაკომელსკი.

სევასტოპოლის ციხე-სმაგარის კონტრრევოლუციურმა ოფიცრებმა ქვემეხების სროლა აუტენეს გემ „ერიკლიკიდან“, ხოლო ოფიცრებმა ციხე-სმაგარის არტილერიისტიბი დაარწმუნეს, რომ ეს სროლა „ოჩაკოვიდან“ არის და აიძულეს ისინი არტილერიის ცეცხლი გაეჩინათ რევოლუციურ გემისათვის. „ოჩაკოვი“ იწვინდა. მატროსებს ისე დაარწმუნდა, რომ ზღვაში ცურვით გასულიყვნენ ნაპირზე, მაგრამ აქ მათ დახვდათ მეფის ჯარები, რომლებიც ხიშტებზე აგებდნენ აჯანყებულებს.

შიღვიც და მისი შვილი ასევე ზღვაში გაცურვის დროს შეიპყრეს.

ყველა დაპატიმრებული მეზღვაური და ჯარისკაცი, სულ 333 კაცი, სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

შიღვიც და მის ამხანაგებს ვასამართლების დროს გამოჩენილი ვეჭვილები იცავდნენ. ისინი ცდილობდნენ როგორმე შეენარჩუნებინათ სიცოცხლე შიღვისათვის, მაგრამ ამის მისაღწევად არა მარტო ხერხს მიმართეს: იმის მაგიერ, რომ სასამართლო პროცესი რევოლუციის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ, შიღვიც ურჩიეს, სასამართლოს თავი არანორმალურად ამიანად მოაჩვენა და სიკვდილს გადარჩებოდა.

შიღვიცა აღშფოთებით უარყო თავისი დამცველების ეს რჩევა. მან განაცხადა: აუ მე არანორმალური ვარ, მაშინ არანორმალური ყოფილა მთელი 130 მილიონი მოსახლეობა, ე. ი. მთელი რევოლუციური რუსეთი. მე რომ ახლა საპროტესტოდან გამოშვებული ვიყო, ყოველგვარ ვითარებაში ზუსტად იმახვე ჩავიდნენ, რაც გვაკეთეო.

თავის უკანასკნელ სიტყვაში შიღვიცა მეფის ჯალათებს მიმართა:

— თქვენს წინაშე ფიცის დამრღვევი რამდენიმე მატროსი და მოქალაქე შიღვიცა როდია. აქ, საბრალმდებლო სკამზე არის მთელი ასმილიონიანი რუსეთი. თქვენ მას უნდა გამოუტანოთ განაჩენი, იგი უცდის თქვენს გადაწყვეტილებას.

... მე ვიცი, რომ ბოძი, რომელსაც ჩამომარჩილხენ, ანდ: ათული იქნება ჩვენი სამშობლო ორი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მიჯნაზე. ამის შეგნება მე ძალას მძაბვს და სახარობელა არ მამინებს. წარსულს ჩაბარდება ხალხის ტანჯვა-წამება და მძიმე წლების ქარტყლი. წინ კი მე დავინახავ ახალგაზრდა, გარდაქმნილ, ბედნიერ რუსეთს. უდიდესი სიხარულით აღივსება ჩემი გული და ასე შევრგებები სიკვდილს.

შიღვიცა და აჯანყების სხვა ხელმძღვანელები სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაზარალებულნი.

ახსიათებდა რა მატროსებისა და ჯარისკაცების აჯანყებათა დამარცხების მიზეზებს, ლენინი აღნიშნავდა, რომ აჯანყებულებს არ ყოფიდათ იმის საკმაო შეგნება, რომ შეიარაღებულნი ბრძოლის მხოლოდ მეტად ენერგიული განგრობა, მხოლოდ ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებაზე გამარჯვება, მხოლოდ მთავრობის ჩამოგდება და მთელ სახელმწიფოში ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს რევოლუციის წარმატების ერთადერთ გარანტიას.

„მატროსთა და ჯარისკაცთა ფართო მასები ამბოხებას ადვილად იწყებდნენ. მაგრამ ასევე ადვილად სხადიოდნენ ისინი იმ გულუბრუნებულ სისულელეს, რომ ათავისუფლებდნენ შეპყრობილ ოფიცრებს: ისინი თავს აწყენარებინებდნენ უფროსებს აღთქმებითა და შეპირებებით; ამგვარად, უფროსები ეგებდნენ ძვირფას დროს, ღებულობდნენ დამმარე ძალებს, ამარცხებდნენ აჯანყებულთა ძალებს, და შემდეგ ამას მოსდევდა აჯანყების უსასტიკესი ჩაქრობა და ბელადების სიკვდილით დასჯა“.

სანგრძლივი წანწალის შემდგომ ერთ კაცს შეეკედლა კპიროდა და იმანაც გამოსაღებარი ძონძივით მიატოვა იგი.


იმის ფიქრი, რომ ლუკმა-პურისა და თავშესაფარის მოსაპოვებლად ახალი საყვარელი უნდა გაეჩინა, გულს ურევდა და ზარავდა ქალს. ის ახალგაზრდა აღარ იყო უკვე.

სიჭაბუკის შემდგომ ადამიანი მზიური შემოდგომის დარ მშენიერ, მშვიდ და დაუნჯებულ ასაკში შედის. ამ დროს მწიფდება ცხოვრების ყანა და ნაყოფი მ-ოისთვლებიან. ჭაბუკობის საგანაფხლო სიმსუბუქეს ყავლი გაუღდის. თითქოს ვამთავრებთ ამქვეყნიური სახლის შენებას. ამ ასაკში ყოველივე, რაც განგვიცდია — კარგიც და ცუდიც, სამხიარულოც და სანალღოც — ცვლის ჩვენს გონებას; მაშინ უარს ვყოფთ ოცნებათა ჯადოსნური ქვეყნის საცთურებს და ისე ვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას, როგორც შეგვიძლია; ახალი სატრფოს მაცთური მხერა აღარ გვიზიდავს და ძველ სიყვარულს უფრო ვაფასებთ; სიჭაბუკის სიკისკასე გვიანვლდება, ხოლო უბერებელი სული სანგრძლივი ერთად ცხოვრების შემდეგ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოჰყვივს სახისა და თვალის იერში; ხმა, ღიმილი, მხერა — ყველაფერი — ადამიანის შინაგან არსს ეთანხმება. ჩვენ ვეთხოვებით აუხდენელ ოცნებებს, აღარც იმით გამო ვწუხვართ, ვინც მიგვატოვა, იმათაც მივუტევებთ, ვინც მოგვატყუა და გულს მას ვუძღვნივთ, ვინც მოგვინდო, შეგვიყვარა და გვიერთგულა ამ საწყთიროს ქარტყილებისა და უიმედო განშორებათა შემდგომაც. კმაყოფილებასა და სიმშვიდეს გვგრძნობთ გაჭირვებაში გამოცდილი, ერთგული და გულთი საყვარელი მეგობრებით გარშემორტყმულნი. ვაი მას, ვინაც სიცოცხლის ამ მიმცხრალ დღისზე ამოდ ესწრაფის ახალ ამხანაგებს და საუნჯეს, ვისაც მოსასვენებელი სარეცელი არ განუმზადებია და კერაზე ეცეხლი არ ზვდება საღამო ჟამს შინ მობრუნებულს.

როდესაც დილით კპიროდამ გაიღვიძა და ნახა, რომ საყვარელი გაპარულიყო, თან მისი სამკაულები და ფულიც წაიღო და გროშიც არ დაეტოვებია ბინის ქირის გადასახდელად; როცა იფიქრა, რომ სამი წლის ვაჭიშვილისთვის ქილა რძის ყიდვაც აღარ შეეძლო, რომ ოცდათვრამეტი წლისა იყო, მთელს დუნიანზე ერთი მახლობელი სულიც არ გააჩნდა და საკუთარ ოჯახშიაც ვერ განუტყვევებდა სულს; როცა წარმოიდგინა, რომ დღეს ისევ მოუხდებოდა ცრემლები მოეხოცა, წამწამები, ტუჩები და ლოყები შეეღება, ცდილიყო ასაკი დაეფარა, მხიარულად ეკისკისა და ამოურწყავი მოთმინებით ექსოვა მაიას * ბადე კაცთა გულის მოსანადირებლად — მაშინ კარი ჩარაზა და ჰირს დაემხო, სოხანეს მტვერი აწმინდა თმებით.

მთელი დღე ხემსი არ ჩაუდგია ბირში, მიცვალებულივით იწვა. შესაღამოვდა. ოთახში ჩამოხნულდა. შემთხვევით ერთი ძველი საყვარელი შემოეხეტა და კარებზე დაუკაკუნა.

რაბინდრანაბ
თ ა მ რ ი



ეროვნული
გონიერობა

ემოსკართლე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

— კპირო! — დაუძახა მან. — გამიღე კარი, კპირო! კპიროდამ კარი გამოაღო, ცოცხს ხელი წამოავლო და პირგამხეხილ ვეფხვივით აღმუცლებული გამოგარდა ქუჩაში. ჟინშიორულმა ყმაწვილმა გაქცევით უშეგლო თავს.

ხმაურმა გააღვიძა მთელი დღის ნაშიშმილარი და ნამტირალევი ბალი, რომელსაც ის-ისაა ჩასძინებოდა თავის ზოლიში.

— დედა! — დაიძახა მან გულგამგმირავად. — დედიკო!

მაშინ კპიროდამ აიტაცა აქვითინებული ბავშვი, მკერდში ჩაიკრა, ქუჩაში გამოგარდა და ჭაში გადაიჩენსა.

ხმაურზე მეზობლებმა მოიბრინეს ჭრაქებით. კპიროდა და მისი შვილი სასწრაფოდ ამოიყვანეს ჭიდან. დედას გული წასვლოდა, ბავშვი მომკვდარიყო.

საგადმყოფოში ექიმებმა მორაჩინეს კპიროდა. როდესაც ქალი ფეხზე წამოიღო, მოსამართლემ სამართალში მისცა ბავშვის მოკვდინებისათვის.

II

მოსამართლე მოპტიმონონ დატი გამოჩენილი სახელმწიფო მოხელე იყო. მან საქმე კანონის მთელი სიმკაცრით გაარჩია და კპიროდას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ამოდ ილაპარაკეს ვეჭილებმა უბედური ქალის სავალო მდგომარეობის შესახებ, ამოდ ცდილობდნენ გადაერჩინათ იგი — ვერაფერი ვააწყვეს. მოსამართლემ ვერ ნახა ვერავითარი საფუძველი დამნაშავის შესაწყალებლად.

ამის საზბიო გააჩნდა მოსამართლეს. იგი ინდოელ ქალებს ქალღმერთებს უწოდებდა, მაგრამ სულის სიღრმეში არ ენდობოდა მათ. ეგონა, რომ ყველა ქალი ოჯახის დარღვევას მიესწრაფოდა.

საკმარისია მეტავალყურებმა შეასუსტო და საზოგადოებაში არც ერთი წესიერი ქალი არ დარჩებო, ფიქრობდა.

ეს რწმენა შემთხვევით როდი გასჩენია. იმის გასაკებად, თუ რატომ ფიქრობდა იგი ასე, მისი სიჭაბუკის ზოგიერთი ეპიზოდი უნდა მოვიკონოთ.

მოპტიმონონ დატი, კოლეჯის მეორე კურსის სტუდენტი, იმ დროს სრულიად სხვაგვარი იყო. ახლა წინიდან მოქაჩილებული თავი უბრწყინავს, ხოლო კეკას ტიკები ** უმკობს; ყოველ დილით ბასრი სამართებლით პირწმინდა იპარსავს წვერ-ულვას. მაშინ კი... მაშინ ოქროს პეკლიანი სათვალე, წვერი, ულვასი და ევროპულად დაგარცხნილი თმა მეცხრამეტე საუკუნის წიგნებში დახატულ ღმერთ კარტიკს ამკვანებდა. იგი გულმოდგინედ უვლიდა თავს, არც ღვინოს იკლებდა, არც ხორციულს და სხვა სისუსტეც მრავლად გააჩნდა.

მის მახლობლად ცხოვრობდა მეზობლის საცხებით ნორჩი, თოთხმეტე-თხუთმეტი წლის ქვრივი გოგონა ***, სახელად ხემშომი.

* მაია — ილუზია.

** ტიკი — კეფ-ზე დატოვებული თმის ბლუჯა.

*** ინდოეთში ადრე ათხოვებენ ქალიშვილებს, 8-10 წლის ასაკშია ცი. ამ ასაკში გათხოვება ჩვეულებრივ ნომინალურია, ფაქტიურ ქორწინებას რამდენიმე წლის შემდეგ აქვს ადგილი. ხდება ხოლმე, რომ ქმარი ფაქტიურ ქორწინებამდე გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში ნომინალური ცოლი ქვრივად ითვლება და ხელმეორე გათხოვებისა და მშობლების სახლიდან გასვლის უფლება არ აქვს.

იისფერი, შორეული სანაპიროები, ვიღრე ფეხს დავადგამდე, ზღაპრული და მშვენიერი გვეჩვენება ზღვიდან. ქვრივობის გამო ხემშომი შორს იდგა რეალური სამყაროსაგან და ამიტომ შორეულ სანაპიროებზე აღმართულ, მხიარულ და ზღაპრული იდუმალეზით მოცულ სასახლედ ეჩვენებოდა ქვეყანა. არ კი უწყოდა, რომ ეს ცხოვრება მკაცრი და რთულია, რომ ბედნიერებას უბედურება ერთის, ეკვთან და ხიფათთან არის გადაწნული და ნაღვლითა და სასოწარკვეთილებით არის მოწამული. ცხოვრება მას გამჭვირვალე, რაკრაკა ნაკადულივით მსუბუქი ეგონა, ხოლო ცხოვრების გზები — ფართო და სწორი. ეგონა, რომ ბედნიერება მართოდენ იქ, მისი ფანჯრების მიღმა იყო, ხოლო მის ნახსა და მხურვალე გულში დაუკმაყოფილებელი სურვილები ზუღობდნენ მხოლოდ. სიყრმის მაცოცხლებელი ნიავქარი ჰქროდა მაშინ მისი სულის სივრცეში და მთელს სამყაროს გაუზახულის მშვენებათა მისარტყელებით ავსებდა. გული ლაღად უცემდა ზეცის ამ თვალშეუღვამი სილაყვარლის ქვეშ, ხოლო ქვეყანა მისი სულის ამო სურნელში იფურჩქნებოდა წითელი ლოტოსის უნაწესი ფურცლების დარად.

მისი ოჯახი მაშინ, დედისა და ორი უმცროსი ძმისაგან შედგებოდა. დილით, საუზმის შემდეგ ძმები სკოლაში მიდიოდნენ, შემდეგ ბრუნდებოდნენ, სადილობდნენ და ისევ მიდიოდნენ საღამოს გაკვეთილებზე ნასწავლის გასამეორებლად. მამას ხელმოკლეობის გამო შეძლება არა ჰქონდა კერძო მასწავლებელი დაექირაებია ბავშვებისათვის.


თავისუფალ დროს იგი უყვარდა განმარტობით ჯდომა თავის ოთახში. იგი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ქვაფენილზე მოფუსფუსე გამგელებს, ყურს უდებდა ქუჩის მოვაჭრეების ძახილს და ეჩვენებოდა, რომ ყველა ადამიანი ბედნიერი იყო. ფიქრობდა, რომ მათხოვრები თავისუფალი ჩიტებივით ცხოვრობდნენ, ხოლო მეწვრილმანენი ცხოვრების მხიარულ სცენაზე მოთამაშე მსახიობები იყვნენ და არ სჭირდებოდა წვითა და დავით მოუპოვებინათ პური არსობისა.

ხემშომი ხედავდა მხარავალი, პეწიანად ჩაცმულ მოპტიკს, რომელიც დღე-ღამე რამდენჯერმე ჩაუვლიდა ხოლმე მის ფანჯარას. რკი მას ყველაზე ბედნიერი და ყველაზე უკეთესი ეგონა, დიდი ინტერესს მსკავნი. ფიქრობდა, რომ ეს ამაყი, მშვენივრად შემოსილი ჭაბუკი ფლობდა ყველაფერს, რაც კი შეიძლება კაცმა ისურვოს. თავის ფიქრებში იგი აღმერთებდა მოპტიკს, ყოველგვარი სიკეთით შეიკულად მიაჩნდა და ამით ერთობოდა თოჯინასთან მოთამაშე გოგონასავით.

ერთ საღამოს მან დაინახა, რომ მოპტიკის სახლის ფანჯრები გაჩირადნებულ იყო. მოცეკვავე ქალების სამაჯურთა წკიილი და მუტრბობა სიმღერის ხმა მოისმოდა იქედან. მთელი დამე არ სძინებია, ხარბი თვალებით უმზერდა ბირისპირ მდგარი სახლის ფანჯრებზე აცრიატებულ ლანდებს, მკერდში გული უკენსოდა და მღელვარებით უფართქალბდა გალიაში გამომწყვდილი ჩიტები.

არ ამტყუნებდა თავის ღვთაებას. როგორც ფარგანა მიელტვის სანთელს, რადგანაც იგი მოციმციმე ვარსკვლავი ზგონია, ასევე ხემს მოპტიკის სახლის გაჩირადნებული ფანჯრები, საიდანაც ტროფობის წადლის მკვრივი მუსიკა და სიმღერა მოისმოდა, სამოთხის სარკმლები ეგონა. ამ ზნელ დამეში ძილგაკერ-

* ინტრა — ღმერთების მეუფე ინდურ მითოლოგიაში; ქარიშხლისა და ტარობის ღვთაება.



